# საქართველოს ქალი

3-4

1997



ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1997





**პირველი ქალბატონი ახალგაზრდობიდან მოვიდა**
გვ. 1–2

პოლიტიკოსის ოჯახში ჰარმონია სუფევს
გვ. 6-7

**ეკა მამალაძე:** მე თვითონ ვარ ჩემი თავის ბატონ-პატრონი
გვ. 12-13

საჭიროა თუ არა ფერიების ცრემლიანი კონკურსი?
გვ. 18-19

**სიცილით თურმე ბედისწერის გადავადებაც შეიძლება**
გვ. 20-21

ჯუმბერ ლეჟავამ უარი თქვა მშვენიერ ქალზე, რატომ?
გვ. 22-23

უგემრიელესი ნამცხვრები, რჩევები
გვ. 24

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოზოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — დავით იაკობაშვილის ფოტოეტიუდი; მეოთხეზე — ფოტოკოლაჟი

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

## პერსონა

# პირველი ქალბატონი ახალგაზრდობიდან მოვიდა



ის ჩემთვის ნანულია, არც ქალბატონი და არც პირველი ქალბატონი. ამის უფლებას 25 წელი მაძლევს, „საქართველოს ქალში“ ერთად რომ გავატარეთ. ამიტომ დღეს ხშირად ვფიქრობ მასზე და განსაკუთრებით განვიცდი,, როცა ქვეყანაში სიტუაცია იძაბება და ახალი სიძნელეები მასაც მხრებზე აწვება.

ის პრეზიდენტის მეუღლე, მისი თანამოაზრე, მრჩეველი და თანამდგომია. ზოგჯერ მიკვირს, საიდან აქვს იმდენი ძალა და გამძლეობა, რომ გაინაწილოს პირველი კაცის შრომის და ცხოვრების სიმძიმე. ალბათ, დიდი ამტანობის სათავე იმ დროში უნდა ვეძიოთ, როცა 8 წლის ბავშვს 37-ში მამა დაუპატიმრეს, როცა ქალაქიდან ქალაქში, ნათესავიდან ნათესავთან იმალებოდნენ დედა-შვილები. მაშინ დედა დაჭერას კი გადაურჩა, მაგრამ მძიმე სენს — ვერა.

მისი ქალიშვილობა მძიმეზე მძიმე იყო: უნაკლო გარეგნობის სტუდენტ გოგონას სანატრელი ჰქონდა ჩასაცმელი თუ დასახური. ღმერთმა, როგორც ყველა დაჩაგრულსა და გაჭირვებულს, მასაც თავისი კალთა გადააფარა... ზაფხულის ერთ სტუდენტურ არდადეგებზე შეახვედრა კაცს, რომელმაც შეიყვარა ადამიანური ღირსებებისთვის და ცოლად შეირთო.

სიყვარული ყველასათვის ერთნაირი როდია. ნანული შევარდნაძისთვის იგი ერთადერთია და განუმეორებელი, დიდი მეგობრობით, ნდობით და გაგებით გამთბარი.

სადაც ქალის გული და თვალია საჭირო, იქ საქმე კარგად მიდის. დიდი გულითა და გონიერებით გამოვიდა საზოგადოებრივ სარბიელზე პრეზიდენტის მეუღლე. ამაში ახალი არაფერია, ასეა ცივილიზებულ ქვეყნებში — აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, სადაც პირველი ქალბატონები მეუღლეების გვერდით დგანან ქვეყნის სამსახურში. ისინი კარგად იცნობენ ნანული შევარდნაძეს, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მეუღლეს და საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტს. ამ საზოგადოების განყოფილებები აქტიურად საქმიანობენ უცხოეთში საქართველოს ელჩების მეუღლეთა ხელმძღვანელობით.

დღეს ქალბატონი ნანული ჩართულია ჯანმრთელობის, ეკოლოგიის, განათლების, კულტურისა და სხვა სასიცოცხლო საკითხების მოგვარებაში. ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდის საქმე და მასაც ეს წარმატება ახარებს. მის თავგანწირულ საქმიანობაში იმ თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

20816

სებების ანარეკლს ვხედავ, ახალგაზრდობიდან რომ გამოირჩეოდა სხვებისაგან. ზოგიერთს ამ თვისებათაგან ჩემი ადრინდელი ჩანაწერებიდან შეიტყობთ.

* * *

რედაქციის თანამშრომლები სტუმრად ვართ პოეტ ნაზი თარგამაძესთან. გარეთ ცივა, ოთახში კი სასიამოვნო სითბოა. იღება კარი და ახალგაზრდა წყვილი შემოდის ორი ბავშვით. შინაურულად იქცევიან, ეტყობათ, ოჯახის ახლობლები არიან.

თბილად მოგვესალმნენ. ქალმა ჩვილი ტახტზე დასვა, გოგონას პალტო გახადა და მეორე ოთახში გაუშვა. დასხდნენ. ქალს რომ დაკვირდი, სწორი ლამაზი ნაკვთები და თვალებიდან დაღვრილი დიდი სითბო მესიამოვნა. მამაკაცი კი რაღაც ღვთაებრივი შუქით ბრწყინავდა. „ვინ არის ეს ქრისტე?" — ვუჩურჩულე გვერდით მჯდომს. „კომკავშირის ცეკას მდივანი ედუარდ შევარდნაძეა".

ედუარდის მეუღლე ნაზის ლექსებს კითხულობდა. ეტყობა, უყვარს პოეზია.

* * *

სამუშაო მთავრდება. ოთახში რედაქტორი თეო აბაშიძე შემოდის და ამბობს: „გოგოებო, ხვალ ახალი თანამშრომელი მოდის". „ვინ?" „ნანული შევარდნაძე".

ვემზადებოდით მის დასახვედრად. განა იმიტომ, რომ ის შევარდნაძის მეუღლეა, უბრალოდ, გვიხარია ახალი კოლეგის მოსვლა, თანაც გვახსენდება ორიოდე წლის წინ გაცნობილი მხიარული ნანული.

* * *

ჯერ კიდევ ურთიერთდაზვერვის და შეჩვევის დღეებია. ნანული უმეტესად ჩუმად ზის და საჟურნალო წერილებს კითხულობს, ხან ჩვენ გვისმენს და საუბარში ფრთხილად ერევა.

მან საკუთარი წერილის დაწერა გადაწყვიტა. მსახიობ ალექსანდრა თოიძესთან აპირებს წასვლას. ეტყობა, ნარკვევი ჩაიფიქრა. ვნახოთ, როგორი გამოუვა.

* * *

„კარგია, მომწონს", — ვუთხარი, როცა მისი ნარკვევი წავიკითხე. კი ვხედავდი, გარინდებული რომ იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა ფანჯარაში. ის მაშინ ჩვენთან არ იყო, ის მსახიობზე ფიქრობდა, აზრებს აწყობდა. ალბათ, ასე იყო სახლშიც, როცა ალაგებდა, ან სადილს ამზადებდა, ანდა ღამით, როცა თავისუფლად მოდის სიტყვები და იმეორებ, რომ დაიხსომო, დილისთვის არ გაგიფრინდეს.

* * *

ხანდისხან დაღლილი მეჩვენება, ზოგჯერ დაძაბულიც. ალბათ ძნელია ოჯახში ყველაფერი დაწკრიალებული გქონდეს, ბავშვებსაც არაფერი მოაკლო და სამსახურშიც დილიდან საღამომდე იჯდე. რამდენჯერმე წამოცდა: „შევდივარ სახლში და ტანსაცმლის გამოცვლას ვერ ვახერხებ, პირდაპირ სამზარეულოში მივდივარ". სტუმრიანი ოჯახია, ამასაც ენერგია სჭირდება.

* * *

სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ქალთა ჟურნალების რედაქტორები გვეწვივნენ. საღამოს თეოსთან ვახშამი გვქონდა. კერძები ნანულიმ დაამზადა. სტუმრებს ყველაფერი ძალიან მოეწონათ, განსაკუთრებით — ჩიხირთმა.

* * *

ჟურნალის მკითხველებთან შეხვედრა გვქონდა. შეგვაქეს, ტირაჟის გაზრდა მოითხოვეს. გამომცემლობას დიდ მოგებას ვაძლევთ, ალბათ ტირაჟიც გაიზრდება. ნანულის წერილები მოიწონეს. რამდენიმემ ჩემი ნარკვევი ახსენა. ნანულის ქება უხდება, მე კი პირიქით, თუ არ მაქებენ, უკეთესად ვწერ.

* * *

ედუარდის დაბადების დღეა. დაუპატიჟებლად მივდივართ მისალოცად.

ნანული არ გველოდა. სახე გაუნათდა, ქმარს ეუბნება: ნახე, ჩემებს როგორ უყვარხარო, მაგიდაზე ლაგდება გემრიელი კერძები და ბოლოს, ნანულის ცნობილი ნიგვზის ტორტი (ასეთს არავინ აცხობს თბილისში), თუ ერთხელ გასინჯე, მისი გემო არ დაგავიწყდება.

* * *

იმ დღეს ნანული განერვიულებული მოვიდა, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, ჩუმად იჯდა, დილით სუსანა გაბუნიასთან მიეყვანა პაატა. აბსოლუტური მუსიკალური სმენა აქვს, პედაგოგს ძალიან მოსწონს, ბიჭს კი მუსიკის სწავლის გაგონებაც არ უნდა. ბუზღუნით წამოყვა თურმე დედას და გზაში ეუბნება: — თუ კიდევ წამიყვან მუსიკაზე, თავს ჩამოვიხრჩობ.

როცა ბავშვი ამას ამბობს, რა ქნას დედამ?

* * *

ოთახში ორნი ვართ, მაგიდები ერთმანეთის პირდაპირ გვიდგას. ერთმანეთს ხელს არ ვუშლით, ავტორებს ხმადაბლა ვესაუბრებით. როცა ვიღლებით, ვანებებთ თავს წერას და შინაური ამბებით ვერთობით. ზოგჯერ უსიტყვოდაც ვხვდები, რა აწუხებს: გაფითრებულს და უძინარს რომ ვხედავ, ვიცი, წუხელ ედუარდი გვიან, ანუ ძალიან გვიან დაბრუნდა შინ. ნანულის არ ეძინა, ძნელია შინაგან საქმეთა მინისტრის ცოლობა. დაბლა კარი რომ გაიღო და პირველ სართულზე ამოვიდა, ნანულიმ უკვე ნაბიჯებით იგრძნო და მეხუთე სართულამდე თვალა... უჰ, ახლა კი შეიძლება დაძინება.

მაინც მხიარულია, ყველაზე მეტს იცინის. ზოგჯერ ისე გადიკისკისებს, შემოდიან, რა მოხდაო.

...ნაზი კილასონიას ბიჭი ეყოლა. ნანულიმ საჩუქრად თბილი საბანი წაუღო.

* * *

საახალწლო ნაძვის ხე გვაქვს. თანამშრომელთა ბავშვებს ველით. პარკებში საჩუქრებს ვაწყობთ. შოკოლადის ოქროსფერი მედალიონი ავიღე. ნანულიმ ხელიდან გამაგდებინა: არ შეჭამო, იქნებ დათვლილიაო. ცივად გავუშვი ხელი. მეწყინა, არც ასეთი პატიოსნება ვარგა!

* * *

ნანულიმ საწოლი გარნიტურის ყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ ფული არა აქვს. უნდა ვისესხოო. მართლაც იშოვა, მაგრამ უკვე გასტუმრებაზე ფიქრობს.

საღამოს ვილისმა მოაკითხა ბაზარში წასასვლელად. იშვიათად გამოიმეტებენ ხოლმე მისთვის მანქანას. მეც გავყევი. მარწყვი ახალი შემოსული იყო. ნანულიმ ნახევარი კილო იყიდა: უფროსები ამჯერად არ შევჭამთო.

* * *

მამა 31 დეკემბერს დავასაფლავეთ. ახალი, 1966 წელი გათენდა, მაგრამ მე და დედა არ ვდგებით, დაბნელებულ ოთახში ვწევართ გულმოკლულები. არც არავის ველით, ვინ იფიქრებს დღეს ჩვენთან მოსვლას?

ჯერ კიდევ დილაა... ნანული

მოვიდა, მოიტანა ტკბილეული. მისმა მოსვლამ ცოტათი მდგომარეობიდან გამომიყვანა. ვფიქრობ, ვინ დატოვებს ახალი წლის დილას ოჯახს მგლოვიარეთა სანახავად?

* * *

თითქმის ცხრა თვე ვიწექი, რომ ბავშვი გამეჩინა. ნანული ხშირად მირეკავდა, მამხნევებდა. აღდგომა დილას, 9 აპრილს, გოგონა შემეძინა.

მეორე დილას ნანული საავადმყოფოში თავზე დამადგა. ჩემი საყვარელი „ანაისი" ბალიშთან დამიდო. „როგორ შემოხვედი, აქ ხომ კარანტინია?" „ამჯერად კანონი დავარღვიე და შემომიშვეს".

* * *

წლები გადის, ჩემი გოგონა სკოლაში დადის. სამსახურში რომ მაკითხავს, პირველად ნანული დეიდასთან შერბის. (ახლა გავფართოვდით და განყოფილების გამგეები ცალ-ცალკე ვსხედვართ). ისიც საჩუქრებით ანებივრებს. განსაკუთრებით ზამთარი უყვარს თამუნას, როცა დეიდა ნანულის კრემლის ნაძვისხის მოსაწვევები მოაქვს და ჩვენც, როგორც ყოველთვის, საახალწლო დღეებს მოსკოვში ვატარებთ.

* * *

ედუარდის მოსკოვში გადაყვანის ამბავი რომ გავიგე, ჯერ აღვფრთოვანდი, დიდ დაფასებად ჩავთვალე, მერე კი მეწყინა, რადგან ნანული დაგვტოვებდა და იქნებ დიდხანს არ შევხვედროდით ერთმანეთს. კარგა ხანს მძიმე გულით დავდიოდი, თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ასე სჯობდა ჩვენი ქვეყნისთვის.

* * *

რამდენი ხანია ნანულიზე არაფერი დამიწერია, ჩემი ცხოვრების ერთი მონაკვეთი უმისოდ მიდიოდა. შორი იყო მოსკოვამდე, თვალი და გული ვერ მიმიწვდებოდა,

... გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ის ჩამოვიდა, ზღვა ხალხი დახვდა შევარდნაძეებს. ერთმანეთისთვის ორი სიტყვის გადაგდება ძლივს მოვასწარით, რომ ხალხმა გაიტაცა ნანული.

დაბნეულები და აღელვებულები ჩანდნენ. მადლობელი იყვნენ დაფასებისთვის. იქნებ ამიტომაც აეროდრომიდან ჯერ სიონის ტაძარში შევიდნენ, რომ მადლობა ღვთისთვის გადაეხადათ.

7 მარტი იყო — ნანულის დაბადების დღე!

ორმაგი სიხარული მისთვის და მისი ოჯახისათვის.

* * *

თუმცა პირველი ქალბატონი და მაინც ჩვენი ნანული ჩვენთან აღარ მუშაობს, როგორც რედკოლეგიის წევრი საქმიანად გვეხმიანება და არ გვივიწყებს. მთელ კოლექტივს კი ისევ ისე გვიყვარს და მასთან გატარებულ დღეებს ხშირად ვიგონებთ. მოსაგონარი მართლაც ბევრია!

ერთ ქურაში გამოვლილი თანამოკალმეები გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს საყვარელ ნანულის 7 მარტს — დაბადების დღეს და ყოველგვარ სიკეთეს ვუსურვებთ!

**ლია კაკაბაძე**

# სოლო შეიძლება დუეტმა შეცვალოს

სამწუხაროდ, ბევრ ქალს მიაჩნია, რომ მამაკაცები საოჯახო საქმიანობისათვის მზად არ არიან, მარტონი შიმშილით დაიხოცებიან, მყუდრო ბინას პირველყოფილი ადამიანის სადგომს დაამსგავსებენ, მაგრამ ეს ტყუილია. ხელები ყველას აქვს და ყველანაირი საოჯახო საქმის ათვისება კაცსაც ისევე შეუძლია, როგორც ქალს. თუ სურვილი აქვს, მამაკაცი ყველაფერს შეძლებს. უბრალოდ ის ამას არ ამჟღავნებს.

ამიტომ უმჯობესია, ქალმა ალერსიან თუ უსუსურ არსებად წარმოადგინოს თავი ქმართან და არა რკინის ადამიანად, რომელსაც ყველაფრის გაკეთება დაუსვენებლად შეუძლია. აჩვენეთ ქმარს, რომ დაიღალეთ, ანდა ძალიან გეზარებათ საქმის კეთება ან დაღლილობისაგან გეძინებათ, თუნდაც ფილმის ნახვა გსურთ. თუ ქმარსაც უყვარს, შეგიძლიათ ისწავლოთ ჭადრაკი და ერთად ჩაატაროთ ტურნირი. თუ ქმარს სხვა გატაცება აქვს, ისიც გაითავისეთ და მერე შეიძლება მარტოკას აღარ მოგიწიოთ საოჯახო საქმიანობა.

მაგრამ თუ მაინც ყველანაირი „ეშმაკობისა" და სინაზის მიუხედავად ქმარმა მაინც განაგრძო ნებივრობა, გაარკვიეთ, მართლაც მნიშვნელოვანია თქვენთვის კარგი დიასახლისის რეპუტაცია? თუ ასეა, ან ამაყად უნდა გააგრძელოთ დიასახლისობა, ანდა შინამოსამსახურე აიყვანოთ, რაც ძვირი დაგიჯდებათ. შეგიძლიათ საოჯახო ტექნიკითა და ნახევარფაბრიკატებით სარგებლობაც.

თუ თქვენ ასე თუ ისე ეგუებით საოჯახო საქმიანობას და უფრო მეტად გაწუხებთ ქმრის სიზარმაცე, ვიდრე ტელევიზორზე დადებული მტვერი, რომელსაც ქმარი თვალით ქირდავს, მაშინ გამოიყენეთ მისივე, მამაკაცური მეთოდები:

1. თავგადაკლული ნუ შეასრულებთ თქვენს მოვალეობებს, როცა ქმარი პრეტენზიას წამოგიყენებთ ცუდად მორეცხილი იატაკის, ან ვაშლის საჩურთით შემწვარი ბატის გამო. დანანებით უთხარით: „ოჰ, როგორ ვეცადე, მაგრამ არ გამომივიდა!" მეორედ კი ეცადეთ, ქმარმა დააზუსტოს საჭმლის რეცეპტი, გაგიფცქვნათ ვაშლი...
2. ყველაფერი გააკეთეთ დინჯად, აუჩქარებლად. თუ ქმარი დაინახავს, რომ ცდილობთ, მაგრამ ვერ ასწრებთ, უფრო დაგეხმარებათ.
3. ხშირ-ხშირად მოაჩვენეთ, რომ ვერ ხვდებით, როგორ გამოიყენოთ ახალი უთო, მას ხომ ამდენი ღილაკები აქვს! ანდა როგორ მოაშოროთ ლაქები მის საყვარელ შარვალს, ვაი, თუ მისი გადაგდება მოგიწიოთ!
4. გამოიჩინეთ ნაკლები ინიციატივა — რატომ უნდა იყოთ მაინცდამაინც თქვენ ოჯახში ყველაზე მიხვედრილი და მოხერხებული.

ერთი სიტყვით, ყურადღებით დაუკვირდით თქვენს რჩეულს, თავად გამოიყენეთ მისივე ხერხები. მაშინ შეიძლება, ეს დაუსრულებელი სოლო ქმართან დუეტით შეიცვალოს.

**„კოსმოპოლიტენი" — 1996 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონტაქტები

# მდინარე ნაკადულებიდან იწყება

არ ვიცი ბედისწერა იყო თუ ბატონი ალექსანდრე ბარამიძის რჩევის დაყოლა, გერმანისტი რომ გავხდი. სკოლა რომ დავამთავრე, ათასნაირი ინტერესი გამიჩნდა და ვერ გადამეწყვიტა, რომელი დარგი ამერჩია. ერთხელაც, როცა ამხანაგები ჩვენს თანაკლასელ ლეილა ბარამიძესთან შევიკრიბეთ, ბატონმა ალექსანდრემ დაგვასმევინა წერტილი—უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, გერმანული ენის განხრით ჩაგვებარებინა ჩვენი მედლები და განცხადებები.

ალბათ ამან განაპირობა ჩემი შემდგომი კონტაქტები გერმანიასა და გერმანულენოვან სამყაროსთან. გერმანული ენის ცოდნა ძალიან მეხმარებოდა ურთიერთობაში, სულ ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა მეტი ადამიანი დამეკავშირებინა, ისინიც ცდილობდნენ არ დაეკარგათ ერთმანეთი და ჩნდებოდა სასარგებლო იდეები და აზრები, რომლებიც აახლებდა და აღრმავებდა ურთიერთობას.

ზაარის მხარესა და ზაარბრიუკენში ხშირად ვიყავი, ჯერ კიდევ 1975 წელს ჩაეყარა ჩვენს მეგობრობას საფუძველი. ჰერმან ვედეკინდმა შესანიშნავად თქვა: ხელოვნებას საზღვრები არ აქვსო, და მართლაც, იმართებოდა ევროპის შუაგულში ქართული კულტურის, აზიისა და ევროპის მიჯნაზე კი გერმანული კულტურის დღეები. მალე საქართველოში შეიქმნა ასოციაცია „ზაარის მეგობრები საქართველოში", რომლის პრეზიდენტია ბატონი ბორის სარალიძე.

ამ რამდენიმე წლის წინ ვილნიუსში ძველ მეგობარს, ზაარბრიუკენელ გიზელა რაიმერს შევხვდი. იგი გერმანიის ქალთა ორგანიზაციის „ფრაუენრინგის" ზაარის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი და მისი სულისჩამდგმელია. მივყევ-მოვყევით ქალებზე საუბარს, ქალთა პრობლემებს აბა რა გამოლევს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს (მაგალითად გერმანიაში სხვა ძირითად საკითხებთან ერთად ისიც აწუხებთ, სახელმწიფო რომ ვერ ეხმარება ქალთა სპეციალურ თავშესაფრებს ე. წ. შოლტერებს, სადაც ქალები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, თავს აფარებენ, მათ შეუძლიათ შვილებიც წაიყვანონ იქ და რამდენიმე ხნით განერიდონ გაავებულ, მსმელ ქმრებს, ვიდრე ისინი გონს არ მოვლენ და საჯაროდ პირობას არ დადებენ, უდიერად აღარ მოეპყრან ცოლებს).

ჰოდა, შევთავაზე გიზელას, მოდი თქვენმა ფრაუენრინგმა და ჩვენმა ქალთა საბჭომ ერთად იმუშაონ ქალთა პრობლემებზე, იქნებ ერთად მეტი ძალა შევძინოთ ქალთა მოძრაობას-მეთქი. გიზელა დამეთანხმა და მომავალ, 1990 წელს, 10 გერმანელი ქალბატონი ეწვია საქართველოს. სწორედ მაშინ დავადგინეთ, ორ წელიწადში ერთხელ შეხვედროდით ერთმანეთს, ჩაგვეტარებინა ერთობლივი კონფერენციები, სემინარები, მოგვეწყო მხატვარ ქალთა და ბავშვთა ნახატების გამოფენები. 1991 წელს ქართველ ქალთა დელეგაცია ეწვია ზაარის მხარეს, კიდევ უფრო გაიზარდა ქალთა მეგობრობის და ურთიერთთანამშრომლ-

ობის არეალი. 1993 წლის ზაარის მხარის „ფრაუენრინგის“ სემინარში თემაზე „ქალი და მშვიდობა“ მოხსენება წავიკითხე ქართველი ქალების ღვაწლზე მშვიდობის დაცვის საქმეში, საერთოდ, და კერძოდ, მათ მონაწილეობაზე აფხაზეთის ომში. 1994 წლის ოქტომბერში ზაარში ჩატარდა გერმანელ და ქართველ ქალთა ერთობლივი სემინარი-კონფერენცია, სადაც 9 ქართველი ქალბატონი აქტიურად მონაწილეობდა ისეთი საკითხების განხილვაში, როგორიც იყო ევროპა ინტეგრაციის გზაზე, ფედერალიზმი, დემოკრატია და პარლამენტარიზმი, შიდსი და მისი გავლენა ქალზე და სხვა, ხოლო შარშან თბილისში ზაარის მხარის „ფრაუენრინგისა“ და საქართველოს ქალთა საბჭოს ერთობლივი კონფერენცია გავმართეთ. კონფერენციას თითქმის ერთი წლის მანძილზე ვამზადებდით, ჩამოყალიბდა საინტერესო თემატიკა, დაკავშირებული იმ საჭირბოროტო პრობლემებთან, რაც დღესდღეობით ქართველ ქალს აწუხებს. ქალთა საბჭომ კონფერენციაზე საქართველოში არსებული თითქმის ყველა ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები მოიწვია, ინტერესი დიდი იყო.

საქართველოს ქალთა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ზ. კვაჭაძემ — საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქართველი ქალის როლის შესახებ საქართველოს გადარჩენაში ისაუბრა ნ. ხაზარაძემ — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა. ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ეკოლოგიის საკითხებს და ქალის როლს ეკოლოგიური პრობლემების დაძლევაში შეეხო ნ. ჩხობაძე — გარემოს და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, საქართველოს ეთნიკური მოზაიკა წარმოადგინა გ. ალასანიამ — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა; პროფესორმა, თანამედროვე ქალისა და მასმედიის საკითხები გააშუქა ნ. დევდარიანმა — ორგანიზაცია „საქმიანი ქალების“ პრეზიდენტმა, გაზეთ „სამშობლო — ფორტეს“ მთავარმა რედაქტორმა; ქალი და ეთნოკონფლიქტები საქართველოში მიმოიხილა რ. კუხალაშვილმა — აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ. იყო სხვა საინტერესო გამოსვლებიც.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნ. ჯავახიშვილმა. მომავალი ერთობლივი კონფერენცია 1998 წელს გაიმართება ზაარბრიუკენში.

სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისობის დღესასწაულში, იმოგზაურეს კახეთში, ეწვივნენ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს, კლასიკურ გიმნაზიას, მოსწავლეთა სასახლეს, ინახულეს ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის მეანგინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ოქროს ფონდი, დაესწრნენ სპექტაკლებს. გერმანელი ქალები გულთბილად მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ.

— დაუვიწყარია თქვენთან შეხვედრა, თქვენი სტუმართმოყვარეობა, საქმიანი და გონიერი ქართველი ქალები, — თქვა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ქ-ნმა აულერმა. ბედნიერი ვარ, რომ ჩამოვედი საქართველოში, კინაღამ გადამაფიქრებინეს ჩემმა ნაცნობებმა — სად მიდიხარ, ველურების ქვეყანაში, თუ თვითონ არ მოგკლეს, შიმშილით მოკვდებიო და როცა იემი არ დავიშალე, აეროპორტში ჩანთით საგზალი დამადევნეს, იქ დაგჭირდებაო. სხვათა შორის, ამ ქალბატონმა კახეთში ბ-ნ გია არსენიშვილს ჰკითხა — არ შეიძლება თქვენთან დავრჩე ლტოლვილადო? და როცა ს. ჯანაშიას მუზეუმში ჩვენი ოქროს ფონდის საგანძური ნახა, მეგობრების აქ ყოფნა და ჩვენი კულტურით მათი გაოცება ინატრა. იმედია, მისი სახით საქართველოზე შეყვარებული და სიმართლის მთქმელი ერთი მეგობარი შემოგვემატა გერმანიაში.

ჩვენი წინადადებით ზაარბრიუკენმა ცნობილი მოვლენების შედეგად დანგრეული პირველი სკოლის რამდენიმე მოსწავლე შეიფარა და იქაურ სკოლებში 6 თვით სასწავლებლად გაამწესა. ზაარის მხარის მაშინდელი განათლების მინისტრის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მარინა გრანცის, ქ-ნ ლიანა შეწირულის, მადონა მგელაძისა და მერი რადიანის თანადგომით და ხელშეწყობით ეს აქცია უკვე ტრადიციად იქცა, მეოთხე წელია ზაარის მხარე მასპინძლობს ქართველ მოსწავლეებს, 30 მოსწავლე ზაარის გიმნაზიებში სწავლობს, გერმანულ ოჯახებში ცხოვრობს, ენას ეუფლება და ქვეყანას ეცნობა.

გასული წლის აგვისტოში გერმანიის ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს მხარეში ნიდერზაქსენში მომიხდა სტუმრობა, ოჯახში, სადაც საქართველოზე შეყვარებული ადამიანები ცხოვრობენ — ბ-ნი დიტერ პაპე, ქალაქ ვოლფსბურგის პოლიციის უფროსი და მისი მეუღლე ილზე პაპე. ბ-ნი დიტერი 3 თვეზე მეტ ხანს მივლინებული იყო საქართველოში (1993 წელს),ბატონ ედუარდ შევარდნაძის მრჩევლად შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში, მისი რჩევითაა დამზადებული ჩვენი პირადობის მოწმობები და საზღვარგარეთული პასპორტები. ამავე დროს იგი როტარი-კლუბის (საქველმოქმედო კლუბია) ვიცე-პრეზიდენტია. ვკითხე, რა შეეძლო როტარი-კლუბს ქართველი ახალგაზრდობისათვის გაეკეთებინა (მოსწავლეთა და სტუდენტთა გაცვლას ვგულისხმობდი), ვიფიქრებთო, დამპირდა და ნოემბერში როტარი-კლუბის ხელმძღვანელობამ ჩვენი ინსტიტუტის ორი სტუდენტი მიიწვია გერმანიაში 1 თვით, ყველა ხარჯების გაწევით. კონკურსის შედეგად შევარჩიეთ ფრიადოსანი მეხუთეკურსელები — ქეთინო ჩხუტიაშვილი და ერეკლე ჩიგოგიძე, გაემგზავრნენ ვოლფსბურგში, ისინი საქართველოს წარსულზე და აწმყოზე მოხსენებებით და ვიდეო-ფილმებით წარსდგებიან როტარი-კლუბის წევრების წინაშე, თანაც იქაურ უმაღლეს სასწავლებელში აიმაღლებენ ენაში კვალიფიკაციას. როტარი-კლუბი კი საქველმოქმედო სიმფონიური მუსიკის კონცერტს ატარებს, რათა შემოსული თანხა ქართველი სტუდენტების გერმანიაში ყოფნას და სწავლებას მოახმაროს.

ყველამ ვიცით, რა დიდსულოვნად ეხმარება გერმანია საქართველოს, როგორ უმეგობრა მისთვის შეჭირვებულ დროს კრედიტებით, ჰუმანიტარული დახმარებებით, მატერიალურად, მორალურად, ასეთი ფართო მასშტაბის გაქანებისას იტყვით, რა მოსატანია ეს პატარ-პატარა აქციებიო, მაგრამ დიდი მდინარეც ხომ პატარა შენაკადებით საზრდოობს?

**ლეილა სადრაძე,**
**ასოციაცია „ზაარის მეგობრები საქართველოში“ ვიცე-პრეზიდენტი, გერმანისტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასიამოვნო სტუმრობა სასარგებლოც გამოდგა



გიზელა რაიმერი (შუაში) ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარესთან, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილთან და ზინაიდა კვაჰაძესთან ერთად.

**თბილისს ეწვია გერმანიის „ფრაუენრინგის“ (ქალთა წრის) დელეგაცია. თბილისში გამართულ შეხვედრებზე მათ თან ახლდათ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი.**

**გთავაზობთ მის ბლიც-ინტერვიუს გერმანელ სტუმრებთან.**

**გიზელა რაიმერი**, „ფრაუენრინგის“ ვიცე პრეზიდენტი: მრავალი ქართველი გავიცანი. ბევრთან მქონდა საინტერესო საუბარი. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ქართველებს ერთმანეთი გიყვართ. ალბათ ამან გადაგატანინათ სიძნელეები, რაც თან ახლდა ქვეყნის შემობრუნებას კომუნისტური რეჟიმიდან დღევანდელ დემოკრატიულ საზოგადოებამდე, ომის სიძნელეები.

ჩვენი დელეგაციის წევრები ქართულ ოჯახებში ცხოვრობენ და ოჯახის ყველა წევრისაგან დიდ სითბოს და ყურადღებას გრძნობენ.

გაოცებული ვარ, როგორ ახერხებთ მრავალი რთული პრობლემის არსებობისას, როგორიცაა უწყლობა, უშუქობა, ბაზრის სიძვირე და მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო სიძნელე, იყოთ ასეთი კეთილები, მშვენიერები, სხვათა მოყვარულები და მზრუნველები.

ალბათ თანდაყოლილი გაქვთ სიყვარულის ნიჭი.

ჩემი აზრით, ქართული ოჯახი კონსერვატულია. გოგონებს, მათ ღირსებას ძალზე უფრთხილდებით. სხვათა შორის, ჩვენი ტრადიციაც ითვალისწინებს ქალწულობას ქორწინებამდე. აი, ბიჭები კი მეტისმეტად განებივრებული გყავთ. თქვენი ბიჭები თითქმის არაფერს აკეთებენ ოჯახისათვის. ხანგრძლივად არიან მშობლების კმაყოფაზე.

**ჰერმინა აულარი**: საქართველოში პირველად ვარ. ქ-ნ მერირადიანთან ვცხოვრობ. ვხედავ, რომ ომის გამო რთულ პირობებში გიწევთ ყოფნა.

მე მარტო ვცხოვრობ საარის მხარეში. ერთი ქალიშვილი ბერლინში მყავს გათხოვილი.

ჩვენ — ქალთა წრის წევრებს არ მოგვწონს, რომ ქვეყანაში ცოტა ბავშვი იბადება! თითქმის ყოველი მესამე ოჯახი ინგრევა. შეძლებისდაგვარად ვებრძვით ამ მოვლენას. ჩვენთან დიდი დისკუსია იყო გაჩაღებული აბორტის შესახებ. სახელმწიფოს ბევრი ბავშვი სჭირდება, მაგრამ დიდი გავლენა არა აქვს.

ჩვენი ქალები ცდილობენ ჯერ სპეციალობა შეისწავლონ, სამსახური იშოვონ და მერე იყოლიონ ბავშვი — ხშირად ერთი, უფრო იშვიათად — ორი. ბავშვის დაბ

დების გამო დედას ეძლევა 2-3 წლიანი შვებულება. ერთი ბავშვისათვის ქალი წელიწადში იღებს 600 მარკას. მათ უნარჩუნდებათ სამსახურები, ამას გარდა, პირველ შვილზე დედა იღებს ერთდროულ დახმარებას — 150 მარკას, მეორეზე — 220, მესამესა და ყოველ მომდევნო ბავშვზე 250 მარკას, მაგრამ მესამე და მეოთხე ბავშვი ძალიან ცოტას თუ ჰყავს.

**როზემარ ოფერმანი:** სასიამოვნოდ გამაოცა იმ გარემოებამ, რომ ამდენი ქართველი გერმანულად ლაპარაკობს. ოჯახებში სტუმრებს არაფერს გვაკლებენ. ჩვენ, ცხადია, გვესმის და სულაც არ გვგონია, რომ თქვენ ასე კარგად ცხოვრობთ, რადგან დავდივართ ქუჩაში, მაღაზიებში, ვხედავთ, რომ ხალხს უჭირს, ბევრი ღარიბია. მაგრამ სტუმართმოყვარეობის გამო ჩვენთვის ყველაფერს იმეტებთ. თუ რადიკულიტმა საშუალება მომცა, უთუოდ ხელმეორედ ჩამოვალ საქართველოში.

გერმანელი ქალბატონები იმ დღეს ესტუმრნენ დალი ბოჯგუას, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარეს.. ქართველი და გერმანელი ქალები ერთად ეძებდნენ გზებს, როგორ შეიძლებოდა დახმარებოდნენ სოციალურად დაუცველ ქალებს.

სტუმრები დაგვპირდნენ, რომ თავის ქვეყანაში ჩაატარებდნენ ღონისძიებებს, რათა მიღებული თანხა გადმოეგზავნათ ამ ორგანიზაციისათვის, იფიქრებდნენ ინვესტიციებზე, დააკავშირებდნენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც შესძლებდნენ დახმარებოდნენ სოციალურად დაუცველ ფენებს — განსაკუთრებით ქართველ ინტელიგენციას.

ქალთა წრის — „ფრაუენრინგის“ წევრთა ახლანდელი სტუმრობა სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც როგორც სტუმრების, ისე მასპინძლებისათვის.

**ნარგიზა მგელაძე**

პოლიტიკოსი—ოჯახში

# *** როცა მეუღლე ქვეყნის სამსახურშია *******

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული გამოცემების რედაქტორებმა სოციოლოგიური გამოკითხვით 1996 წლის საუკეთესო პოლიტიკოსად პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია დაასახელეს.

გილოცავთ, ბატონო ზურაბ!

ჩვენს მკითხველს კი მინდა ვაუწყო, რომ ცნობილი პოლიტიკოსი სიყრმიდანვე თურმე „მწვანე“ ყოფილა. სულ რვა თვისა იყო, როცა მშობლები თბილისიდან ბეთანიაში ფეხით ავიდნენ და თან პატარა ზურაბიც წაიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ ასევე ფეხით ეწვივნენ ბორჯომს, კვლავ სიყრმის შვილის თანხლებით. მერე მეორე ვაჟიც შეეძინათ და ასე... ბესარიონ და რემა ჟვანიებმა მთელი საქართველო ლამის ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარეს თავის ბიჭუნებთან ერთად. ბატონ ბესარიონს, სპეციალობით ფიზიკოსს, თავდავიწყებით უყვარდა თავისი ქვეყნის ბუნება და ბატონ ზურაბს ეს სიყვარული მამისგან მემკვიდრეობით დაჰყვა.

ჟვანიების ოჯახში ერთი დიდი თეთრი ქვა ინახება. ეს ქვა, ხევსურეთში ყოფნისას, ქალბატონ რემას ძალიან მოსწონებია და მეუღლემ, ნიშნად დიდი სიყვარულისა, სულ ხელით ატარა თურმე, თბილისამდე. მნახველნი აღტაცებას ვერ მალავენ, უკვირთ და ეოცებათ, — რა ძალამ ატარებინა ეს დიდი ლოდი ამხელა მანძილზე.

სიყვარულმა, დიდმა სიყვარულმა.

და ეს სიყვარული კვლავ გრძელდება ჟვანიების დიდ, ტრადიციულ ოჯახში.

გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ ზურაბ ჟვანიას მეუღლესთან ქალბატონ ნინო ქადაგიძესთან.

**ქალბატონო ნინო, თუ საიდუმლო არ არის, როგორ შეხვდით ერთმანეთს თქვენ და ბატონი ზურაბი?..**

— ფსიქოლოგი ვარ და... ჩვენ ვმუშაობდით მწვანეთა პარტიის წინასაარჩევნო კომპანიის ორგანიზაციაში, რეკომენდაციებს ვუწევდით. ძალიან საინტერესო იყო ეს ურთიერთობა. ჩვენი გამოცდილება გაიზარდა, ხოლო მათ ისწავლეს არამარტო ამ რეკომენდაციების გამოყენება, არამედ ნაყოფიერადაც შეითვისეს, ცხოვრებაში, ჩვევებში გადაიზარდა და ეს სასიხარულო იყო.

გავიცანით ერთმანეთი ზაფხულში, 1992 წელს. ტესტირებას ვუკეთებდი, ოთახში ცხელოდა და ზურამ, — ხომ არ სჯობია, სუფთა ჰაერზე გადავინაცვლოთ, იქ გავაგრძელოთ ჩვენი საქმეო. ტესტირების რა მოგახსენოთ და... საბედნიეროდ, ჩვენ გვქონდა იმის დრო და საშუალება, რომ უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი. ხშირად ვხვდებოდით, ვსეირნობდით. თავიდან, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიმპათიები იყო, რაღაც გრძნობა, მერე თანდათან, ყოველი შეხვედრისას ემატებოდა ბევრი და ბევრი, წელიწადნახევარი ვიყავით შეყვარებულები, ეს იყო ყველაზე სასიამოვნო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, მერე თანდათან უფრო დაიძაბა ყველაფერი, უფრო დაიტვირთა პოლიტიკური მოვლენები, ცხოვრება. ეს „მხედრიონის“ პერიოდიც ხომ ძალზე სანერვიულო იყო. მისთვის უფრო, ვინც სახლში ზის და ელოდება, პასიური მდგომარეობიდან უწევს თვალყურის დევნება, ეს ძალზე ძნელია.

მერე შეგვეძინა შვილი — ელისაბედი. ბიჭს ველოდებოდით და გოგო კი აღმოჩნდა, ორი წლის მერე, აგერ, ეს ვაჟკაცი...

**— მეუღლე პოლიტიკოსი გყავთ და... ეს უარყოფით ზეგავლენას ხომ არ ახდენს თქვენს ცხოვრებაზე?**

— მედალს ორი მხარე აქვს. ერთი მხრივ, ეს ძალიან ძნელია. ცოტა დრო გვრჩება ელემენტარული ურთიერთობისათვის, არც საქორწინო მოგზაურობა გვქონია. ჩვენთვის ერთი დღეც არ არსებობს, რომ ზურაბმა იგი მთლიანად დაგვითმოს. მეორე მხრივ, ეს ის სფეროა, სადაც ჩემი მეუღლე თავისი „მე“-ს რეალიზაციას ახდენს. როცა კაცი ახერხებს ამას, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ეს პოლიტიკაა, მეცნიერება თუ ხელოვნება. იგი ხომ კმაყოფილდება პიროვნულად. ასეთ ადამიანთან უფრო იოლია ურთიერთობა, ერთი სიტყვით, თუ მამაკაცი პიროვნულად კმაყოფილია, ცოლიც კმაყოფილია, და ეს ოჯახში დადებითად აისახება.

**— პოლიტიკური საუბრები ოჯახშიც გრძელდება?**

— ო, არა! მე ვთვლი, რომ სახლი უნდა იყოს მისთვის ის მყუდრო ადგილი, სადაც არავითარი პრობლემა არ დახვდება. მაქსიმალურად ვცდილობ, შევზღუდო ინტერვენცია გარე სამყაროდან. და თუ მინდა, პოლიტიკის კურსში ვიყო, ამას საინფორმაციო საშუალებებით ვახერხებ. ყველაფერი მსურს ვიცოდე, მხოლოდ არა ზურასაგან.

**— ალბათ იმიტომაც, რომ სუბიექტურს შედარებით ობიექტური შეფასებები გირჩევნიათ.**

— მეც სუბიექტური ვარ, ალბათ, ყველა ინფორმაციის აღქმის დროს.

**— როგორ მოქმედებს თქვენზე, როცა ზურაბ ჟვანიას აკრიტიკებენ?**

— არსებობს სამართლიანი კრიტიკაც. ეს ნაკლებად მტკივა, ვიტყოდი,



სასარგებლოცაა. მაგრამ უსამართლო კრიტიკა... ამ ბოლო დროს პრესა უფრო ნაკლებ აგრესიულია ზურას მიმართ, ზოგი საკითხის გამო სიმპათიებსაც გამოხატავენ.

**—თქვენ თუ აკრიტიკებთ?**

— არა, მე ნაკლებკრიტიკული ვარ. საერთოდ არ მიყვარს კრიტიკა. შეიძლება ეს ჩემი ნაკლია. და თუ ეს იშვიათად მაინც ხდება, ვცდილობ, ვუთხრა ძალზე კორექტულად და მშვიდად.

**— ხომ არ გქონიათ შემთხვევა, ვინმეს მეუღლესთან შუამდგომლობის გაწევა უთხოვია დახმარებისათვის?**

— ხშირად. ვთვლი, რომ ეს ჩემი ვალდებულებაც არის და თუ მე შემიძლია დახმარება, სიამოვნებით ვეხმარები.

**— მაგალითს ხომ ვერ დაგვისახელებდით?**

— არა, არ არის ეს სალაპარაკო. თუ რაღაც გამიკეთებია, ღმერთი არ დამიკარგავს ალბათ.



**— ამ რამდენიმე წელიწადში ერთბაშად იმდენი რამ შემოვიდა უცხო, რომ მის გადახარშვას ვეღარ ასწრებს ჩვენი საზოგადოება, როგორ ფიქრობთ, საფრთხე ხომ არ ელოდება ჩვენს ტრადიციებს? ჩვენს ოჯახს?**

— ძნელია იმ პროცესების მობილიზება, რაც ხდება დღეს. მე, როგორც ფსიქოლოგს, ასეთი გამოკვლევის დიდი სურვილი მქონდა. განმესაზღვრა ფუნქციები ქალისა და კაცის, როგორ იცვლება მათი დატვირთვა, საითკენ მიდის ეს ტენდენცია და ა. შ. გავაკეთეთ მე და კიდევ ორმა მეგობარმა ძალზე საინტერესო პროექტი, ვთვლიდით, რომ უნდა ჩატარდეს სერიოზული გამოკვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით და მაშინ მართლა რეალური მონაცემები გვექნება. ეს ძალიან საინტერესო სფეროა საკვლევად. როგორც კი პატარა წამოიზრდება, აუცილებლად ვიმუშავებ. ჩემის აზრით, ისეთი პროცესები მიდის, რომ ტრადიციული სტრუქტურები მართლა იცვლება, რაც ჩვენს ოჯახებზეც ალბათ იმოქმედებს.

**—თავად თქვენი ოჯახი ტრადიციულია?...**

— დიახ. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ — ბებიები, შვილები, შვილისშვილები. სამწუხაროდ, ზურას მამა გარდაცვლილი ჰყავს, მამაჩემი სხვაგან ცხოვრობს, ასე, რომ სრული იდილია არ გამოგვივიდა. ჩვენს ოჯახში ტრადიციული ქართული ურთიერთობებია. გვყავს უამრავი სტუმარი — მეგობრები — ჩემი და ზურასი, ნათესავები, ოფიციალური სტუმრები. ასე, რომ ჩვენს სამზარეულოში ყოველთვის იწვის და იხარშება და ამ საქმეში ოჯახის წევრი ქალები ვართ ჩაბმული. ცხადია, მარტონი ვერ გავუმკლავდებით, გვყავს მომხმარეც.

**— გადია გყავთ?**

— ღამის. მინდა, ბავშვს ძილი მოუწესრიგოს. მეყოლება მანამდე, სანამ ფეხზე დადგომას შევძლებ.

**— მძიმე მშობიარობა გქონდათ?**

— არა. მაგრამ ქალი მაინც მელოგინედ ითვლება ერთი თვე. ქართული წესითაც ასეა. 40 დღე უნდა ისვენებდეს, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. შეიძლება გართულებები მერე გამოჩნდეს. ამიტომ კარგი მოვლა სჭირდება ბავშვსაც და ქალსაც.

**— მესამე შვილის ყოლასაც ხომ არ აპირებთ?**

— ვაპირებ, ვაპირებ, სამი-ოთხი წლის შემდეგ. ჯერჯერობით მომენატრა ქალური ფორმა — უმუცლოდ.

**— თქვენზე ამბობენ, შესანიშნავად მღერისო.**

— ახლა იშვიათად ვმღერი, ყველაფერს ვარჯიში სჭირდება. ერთ დროს სერიოზულად ვიყავი გატაცებული. ორი წელი დავუთმე მუსიკას — ვსწავლობდი სოლფეჯიოს, ჯაზსაც ვუთმობდი თითქმის მთელ დღეებს.

**— ბატონი ზურაბი თუ მღერის?**

— მღერის, მაგრამ ცუდად. ჩემთვის ეს არის ერთგვარი სავარჯიშო ჰარმონიაში. სამწუხაროდ, იგივე უნდა ვთქვა ჩემს ქალიშვილზეც. მე და ჩემი და წლისანი უკვე ვმღეროდით, ორი წლისანი — უკვე გამართულად, რთულ მელოდიებს. და მუსიკოსია, პიანისტი. ჰოდა, იმედი მქონდა, რომ ლიზიკოც ასე იქნებოდა, მაგრამ ზურას უფრო ძლიერი გენები აღმოაჩნდა. სამაგიეროდ უყვარს, როცა სახლში ვმღერით.

**— ღმერთმა სულ სიმღერის ხასიათზე გამყოფოთ.**

— გმადლობთ, მაგრამ როცა ქვეყანას ულხინს, მხოლოდ მაშინ აქვს სიმღერას მადლი, მითუმეტეს, როცა მეუღლე სწორედ ქვეყნის სამსახურშია ჩამდგარი.

... აქ ბიჭი ატირდა და ნინოს უხმეს.

მერე გვმასპინძლობდა ქალბატონი ნუნუ — ნინოს დედა.

— ძალიან მინდა, რომ ზურას დედას ესაუბროთ, — გვთხოვა მან, არაჩვეულებრივი ქალია, საოცარი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ქალიშვილი კარგი ოჯახის რძალია. აქ ისეთი სიყვარულია. დიდი, დიდი თბილი ოჯახია. ქალბატონ რემას სურს, რომ ყველა შინაურულად იყოს ამ ოჯახში. ხშირად გვსტუმრობს ჩემი მეორე ქალიშვილი ეკა, მისი ვაჟი მიხო თითქმის აქ არის, მე ხომ აქ ვარ და ვარ. და ჩვენ ამ ოჯახის წევრებად ვითვლებით...

**მანანა ჟარიძე**



# მას ჰქონდა

„დეიდა მზია“, — ასე ეძახდნენ ჩემი თაობის, ომისშემდგომი თაობის ბავშვები ქალბატონ მზია ერისთავს და მეც ასე მოვიხსენიებ.

დეიდა მზიას, მე სხვათაგან განსხვავებით, პიონერთა სასახლიდან არ ვიცნობდი. დეიდა მზია და დედაჩემი ლარისა (ლალიკო) წულუკიძე სკოლის მეგობრები იყვნენ. ისანი ერთად სწავლობდნენ ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიაში. ერთმანეთს ენათესავებოდნენ კიდეც. მახსოვს დეიდა მზიაც — მაღალი, ლამაზი, განუმეორებელი ღიმილით, მოკლედ შეჭრილი ჭერა (ალბათ, შეღებილი) თმით, სპორტულად ჩაცმული, დაბალქუსლიანი ფეხსაცმლით; ქალურ კეკლუცობას ალბათ თეთრი აბრეშუმის ხაჭარგი საყელო თუ ამხელდა, რომელსაც დეიდა მზია მუდამ ატარებდა. ბავშვის თვალით იგი იერით, მანერებითაც გამორჩეული იყო იმ მანდილოსნებისაგან, ვისაც მე ვიცნობდი. ახლა ვფიქრობ, ეს გამორჩეულობა სხვების წინადგომის უნარში იყო...

ჩემი მშობლები 30-იან წლებში თბილისიდან ქუთაისში გადავიდნენ საცხოვრებლად და მე და ჩემი ძმა — თამაზი სკოლაში იქ ვსწავლობდით. დეიდა მზიასაც ქუთაისში ჩამოსვლისას ვხვდებოდი. იგი ჩამოდიოდა ხოლმე რიონში — ერისთავების საგვარეულო სოფელში და იქ წასვლამდე ჩვენთან გაჩერდებოდა ხოლმე. მისი და — ნათელა, დისშვილები — მაკა და დევი, ძმისშვილი თამრიკო და მისი უმცროსი ძმები — ელიზბარი და გოგიტა და, ოჯახის პატრიარქი — ბაბუა საშა, დეიდა მზიას მამა. ორჯერ, თუ არ ვცდები, პიონერთა სასახლის ბავშვები ჰყავდა ჩამოყვანილი ექსპედიციაში.

ჩემთვის, ბავშვისათვის, დეიდა მზიას ჩამოსვლა ნამდვილი დღესასწაული იყო ხოლმე. იგი გავსებდა თავისი პიროვნებით, მისი მეხსიერება იტევდა უამრავ ინფორმაციას კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის და საერთოდ ინტელიგენციის ცხოვრებიდან. განსაკუთრებით კარგად მახსოვს საღამოები, როცა ერთმანეთს ესაუბრებოდნენ დეიდა მზია, დედაჩემი და დეიდა ქეთო — სამივე წმინდა ნინოს გიმნაზიის აღზრდილები, საუბრობდნენ, კამათობდნენ, იგონებდნენ, ხუმრობდნენ — ინტელიგენტები, დახვეწილი ოჯახების წარმომადგენლები, მახსოვს მამაჩემის რეაქცია მათ მრავალსაათიან საუბრებზე. მამა ექიმი იყო, დაძაბული სამუშაო ჰქონდა და ძილი მუდამ აკლდა. როცა ეს სამნი, ან მარტო დეიდა მზია და დედა საუბრობდნენ, მამა ეტყოდა ხოლმე — გვიანაა, შუაღამეა, დაიძინეთო! თან ეძინებოდა და თან იმათი საზოგადოებაც არ ეთმობოდა. მეც, სანამ კისერი არ მომწყდებოდა, მათ გვერდით ვიჯექი ხოლმე.

ბედნიერი ვიყავი, განსაკუთრებით, როცა დეიდა მზიამ რამდენიმე დღით მეც ჩამრთო თავის ლაშქრობაში საირმის მხარეს. მე ქუთაისელი ბავშვი ვიყავი, ლაშქრობის მონაწილეები — ყველანი თბილისელები. რაღაც ხიბლი ჰქონდათ, ასე მეგონა, ყველანი არაჩვეულებრივად კარგები იყვნენ. ასეც გამოდგა. ის ბავშვები, მე რომ მაშინ გავიცანი, საზოგადოების საუკეთესო წევრებად, გამოჩენილ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. მახსოვს, იქ გავიცანი ნანა ფურცელაძე, ეკა პრივალოვა, მარინე ყუბანეიშვილი, დათუნა მუსხელიშვილი, მიშიკო გედევანიშვილი, ალდე კაკაბაძე, ნოდარ ცერცვაძე, ციცო ფურცელაძე და ბევრი სხვა. იმათ, შესაძლოა, აღარც ახსოვთ ეს ჩვენი გაცნობა.

მერე, როდესაც სტუდენტი გავხდი და თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად, მე თვითონ დავიწყე სტუმრად სიარული დეიდა მზიასთან, ჯერ პიონერთა სასახლეში, შემდეგ ბავშვთა ტურისტულ სადგურში, სადაც იგი მუშაობდა ცხოვრების ბოლო წლებში. აქ საუბრის ჩატარებაც მთხოვა რამდენჯერმე თავის თანამშრომლებთან მე, უკვე უნივერსიტეტდამთავრებულს, რა ბედნიერი ვიყავი, რომ დეიდა მზიას დავჭირდი!

მას ჰქონდა უნარი თითოეულ ადამიანში, თუნდაც ბავშვში, პიროვნება დაენახა და ახალგაზრდასთანაც იგივე ურთიერთობა ჰქონოდა, რაც თახატოლთან. ამასთან, იგი ზუსტად გრძნობდა ბავშვის რაიმე საქმიანობისკენ მიდრეკილებას და აძლიერებდა, აადვილებდა მასში არჩეული მიზნისკენ სწრაფვას.

ერთი მომენტი შემომრჩა მეხსიერებაში დეიდა მზიას ქუთაისური საღამოს საუბრიდან. დეიდა მზია ეუბნება დედას: ლალიკო, ნახე... და ჩანთიდან იღებს თხელ, მოწაფის რვეულს და იწყებს ხელით გადაწერილი ლექსების კითხვას. მშვენიერი დიქცია ჰქონდა, კარგად კითხულობდა, მაგრამ მე ლექსების უჩვეულობამ მომხიბლა. ათზე ცოტათი მეტისა ვიქნებოდი. ვგრძნობდი, რომ მსგავსი ლექსები სკოლაში ჩემთვის არავის უსწავლებია. ვგრძნობდი, რომ ის ლექსები სხვანაირი იყო და ძალიან კარგი. „თუთა“, ბოშა ქალი“, „მოდიოდა ნინო მთებით“... მერე ჩვენც გადავიწერეთ ის ლექსები, ჩვენც ვუკითხავდით სხვებს. მალე გამოვიდა კიდეც იმ პოეტის ლექსების თხელი წიგნი. ანა კალანდაძის პოეზიას კი ჩვენი ოჯახი პირველად დეიდა მზიამ აზიარა. ამიტომაცაა, რომ ქალბატონ ანასთან ჩემი იშვიათი შეხვედრების დროს გამახსენდება ხოლმე ლამფის შუქზე მისი ლექსების მკითხველი დეიდა მზია.

ერთი ფაქტი მინდა მოვიგონო! დეიდა მზია ქუთაისშია. ჩამოყვანილი ჰყავს ბავშვები და დაბინავებულნი არიან ქუთაისის ვაჟთა I სკოლის შენობაში. მე მივყვები მზიას. დედა რა თქმა უნდა, მაცილებს. მესმის, დეიდა მზია შეწუხებული ეუბნება დედას, რომ ერთი ბავშვი უნდა გადაიყვანოს საავადმყოფოში, ვინაიდან მაღალი სიცხეები აქვს, ბავშვს კიდევ ქუთაისში არავინ ჰყავს ახლობელი, უკან კი სიცხიანს და მარტოს ვერ გაუშვებს. მახსოვს, რა უბრალოდ უთხრა დედაჩემმა — მზია, ჩემთან დატოვეო და რა გახარებული დაითანხმდა დეიდა მზიაც.

ბავშვი ჩვენთან გადმოიყვანეს. სიცხეებს არ უკლებდა. საბოლოოდ დადგინდა მუცლის ტიფი. როცა დედამ გაიგო, რამდენად სერიოზული იყო ავადმყოფობა, შეატყობინა ბავშვის — მერაბ ჩიჯავაძის დედას. და რაოდენ დიდი იყო სიხარული, ბავშვის ავადმყოფობის მიუხედავად, როცა აღმოჩნდა, რომ ამ ბიჭის დედა — ქალბატონი ელენე და მამაჩემი ახალგაზრდობის მეგობრები ყოფილან. მერაბს ახალგაზრდობაში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებოდი და ისეთი გრძნობა მქონდა, ახლობელს ვხვდები-მეთქი. ეს ახლობლობის ძაფები ჩვენს შორის დეიდა მზიამ გააბა.

როცა დეიდა მზიაზე ვფიქრობ, ასე მგონია, რომ ადამიანის ასეთი ტიპი, როგორიც ის იყო, თითქოს გადაგვარდა, გაქრა. მართლაც, დღევანდელ პრაგმატულ დროში ძნელი წარმოსადგენია იპოვო ადამიანი, რომელიც ასე უანგაროდ გადაყვებოდა სხვების შვილებს (განა ყველას, არა — ნარჩევს, საუკეთესოებს), ზაფხულობით ფეხით მოატარებდა მთელ საქართველოს, ზამთრობით ათასნაირ საქმეს გამოუძებნიდა.. იგი ნიმუში იყო მათთვის კეთილშობილების, წესიერების, სამშობლოს სიყვარულის და მისი შეცნობის.

ბედნიერია ყველა ის, ვინც ბავშვობაში დეიდა მზიას შეხვდა და მასთან „ადამიანურ ურთიერთობათა პოეზიას“ ეზიარა.

**ინგა ლორთქიფანიძე.**



# ბავშვში პიროვნების დანახვის უნარი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღაპრები ძილის წინ

**მკითხველთა შეკითხვებს უპასუხებს ბავშვთა ფსიქოთერაპიისა და ფსიქოანალიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კ. ასანოვა.**

**— კარგა ხანია სიგარეტს ვეწევი, ვერ დავანებე თავი ვერც ორსულობისა და ვერც ბავშვის ძუძუთი კვების დროს. მეუბნებიან, სწორედ ამიტომ არის ბავშვი ნერვიული და მტირალაო. მართალია თუ არა ეს?**

**ვერა ქ. 30 წლის.**

— ეჭვგარეშეა, რომ დედის მიერ სიგარეტის წევა უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე, მუცლადყოფნის დროს და მერეც ფილტვების საშუალებით გადაეცემა ბავშვის ორგანიზმს და აქცევს ბავშვს პასიურ მწეველად. ინტოქსიკაცია მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზე და მას ემოციური დარღვევებისაკენ მიდრეკილება დაჰყვება თან. სწორედ ამის ბრალია, რომ პატარა მტირალა და ადვილად გაღიზიანებადია, მომავალში კი შესაძლოა მახსოვრობის მხრივაც გაუჩნდეს პრობლემები. დასკვნა: ნუ მოსწევთ! ხოლო თუ მაინც ვერ ეხსნებით ამ მავნე ჩვევას, ბავშვი კონსულტაციაზე ატარეთ ნევროპათოლოგთან.

**— ჩემს სამი წლის გოგონას ცუდი ჩვეულება აქვს — წოვს ტუჩებს. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ საწოვარას გვიან, 1 წლისა და 7 თვისას გადავაჩვიეთ?**

**ელენე მ. 23 წლის.**

— ეს ჩვეულება, როგორც ზოგი სხვა (ვთქვათ ხანგრძლივად საწოვარას ან თითის წოვა) მიუთითებს ბავშვის რომელიღაც შინაგან ემოციურ პრობლემაზე. არ ღირს, ამის გამო ბავშვს გავუწყრეთ. ეცადეთ გაერკვეთ: იქნებ პატარას თქვენი ყურადღება აკლია? კონსულტაციისათვის უნდა მიმართოთ ექიმ ფსიქოთერაპევტს,

**— ჩემი ბიჭი 2 წლისაა. საკმარისია მკაცრად გავუწყრე, რომ ბავშვი გალურჯებამდე „ჩაბჟირდება“. იქნებ საერთოდ არ შეიძლება მისი დასჯა-გაწყრომა?**

— ეს ე. წ. აფექტურ-რესპირატორული შეტევები ახასიათებთ ბავშვებს თანდაყოლილი ნერვული სისტემის მსუბუქი ცერებრალურ-ორგანული უკმარისობით, რაც გამოწვეულია ტოქსიკური ორსულობით, რთული მშობიარობით. შეტევა შეიძლება გამოიწვიოს რაიმე სტრესმა ან პროტესტის ნიშნად მოჰყვეს თქვენს შენიშვნას.

როგორც წესი, 4-5 წლიდან ეს გამოვლინებები ქრება, მაგრამ თუ ბავშვის საქციელი თქვენს შეშფოთებას იწვევს, სჯობს მიმართოთ ნევროპათოლოგს.

**— დიდი ხანია გავთხოვდი. კარგა ხანს ბავშვი არ გვინდოდა, ახალგაზრდობაში მუცელი რამდენჯერმე მომეშალა. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ვიღებდი ორალურ კონტრაცეპტივებს. ახლა გადავწყვიტე ბავშვი გავაჩინო, მაგრამ ვშიშობ მახინჯი ხომ არ მეყოლება?**

**ანა ვ. 43 წლის.**

— ე. წ. გვიანი ორსულობისას არასრულფასოვანი ბავშვის დაბადების რისკი იზრდება, ამიტომ 35 წლის მერე ყველა ორსული (ან თუ ბავშვის მამა 55 წელს გადაცილებულია) გადიან სპეციალურ შემოწმებას ორსულობის ადრეული პერიოდიდანვე. (ჩვენთან აპარატურისა და რეაქტივების სიძვირის გამო ასეთ გამოკვლევებს ხშირად ვერ ატარებენ). პირველი ანალიზები შეიძლება გაკეთდეს ორსულობის მე-5 მე-6 კვირიდან.

ხანგრძლივად მიღებული ორალური კონტრაცეპტივების გავლენის შესახებ ბავშვის თანდაყოლილ სიმახინჯეებზე ზუსტი მონაცემები ჯერ არ გვაქვს, მაგრამ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მშობლის ასაკობრივი და ამ ფაქტორის ერთობლიობა ბავშვში ანომალიების გაჩენის ალბათობას ზრდის.

**— ჩემი 6 წლის ბიჭს რამდენიმე ბგერის სწორად წარმოთქმა უჭირს. ხომ არ არის ეს დაკავშირებული მისი ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენასთან?**

**ვიქტორ პ. 34 წლის**

— ბავშვის მეტყველების შეფერხება — ეს ნერვიული სისტემის ლოკალური დარღვევაა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გენეტიკური მიდრეკილებით ან ბიოლოგიური ფაქტორებით (ტოქსიკური ორსულობა, მშობიარობის ტრავმა) ამ პრობლემებს ექიმი ლოგოპედი ნებისმიერ ასაკში გადაგიწყვეტთ, მაგრამ რაც უფრო ადრე დაიწყებთ ბავშვის მკურნალობას, მით მეტი იქნება ეფექტი.

**— საჭიროა თუ არა დაძინების წინ ბავშვს მოვუყვეთ ზღაპრები. ეს ხომ აღაგზნებს და ხელს შეუშლის, მშვიდად დაიძინოს. გარდა ამისა, ფანტაზიორი გაიზრდება და მთელი ცხოვრება, როგორც იტყვიან, ღრუბლებში იფრენს.**

**ვერა ნ.**

— ზღაპრები ბავშვს აუცილებლად უნდა მოუყვეთ. ეს ბავშვთან ურთიერთობის, მისი წარმოსახვის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. განუვითარებელი წარმოსახვის მქონე ბავშვს სწავლა უჭირს. მას არა აქვს ასოციაციური აზროვნება.

დიდია ზღაპრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ის ეხმარება ბავშვს მრავალი დადებითი თვისების ფორმირებაში. რა თქმა უნდა, ძილის წინ მოსაყოლად უნდა შევარჩიოთ მშვიდი ზღაპრები, რომლებიც კეთილად მთავრდება.

**„სპიდ ინფო“ № 12, 1996.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვის ძალდატანებითი კვება

ასეთი საქციელი სხვა არაფერია, თუ არა ვაიძულოთ ბავშვი ჭამოს მაშინ, როცა მას ამის სურვილი არა აქვს.

ბევრი დედა, რომელსაც, ცხადია, ბავშვისათვის მხოლოდ კარგი უნდა, ბავშვის ძალდატანებით კვებას მიმართავს პირველსავე თვეებში.

ექიმი პატარას გამოუწერს რძის გარკვეულ რაოდენობას. დედას სურს ზუსტად შეასრულოს ექიმის მითითება და სულაც არ აქცევს ყურადღებას, როგორ რეაგირებს ბავშვი საკვებზე. დედა, ოღონდაც დანიშნული რაოდენობით საკვები არ დააკლოს და ღამეც კი აღვიძებს ჩვილს და საწოვარას ძალით ჩრის პირში, მიუხედავად იმისა, რომ პატარა აპროტესტებს და პირიდან აგდებს საწოვარას. მერე, როცა ბავშვი წამოიზრდება და საწოვარა აღარ სჭირდება, დედა ხან ევედრება ჭამეო, ხან ემუქრება, ხან კიდევ მთელ სპექტაკლს მართავს და ლამის თავდაყირა დგება, ოღონდ კი ბავშვმა რაიმე შეჭამოს. თუ ამანაც არ გასჭრა, მაშინ დედა ძალისძალად ატენის პირში საჭმელს.

ყველა ამ უკიდურესობის მიზეზთა გაგება ძნელი როდია.

ჯერ ერთი, ვწუხვართ ბავშვის ჯანმრთელობას არაფერი ევნოს. მეორე, ვალდებულად მიგვაჩნია თავი ექიმის მითითება შევასრულოთ, მესამეც, არ გვჯერა, რომ ბავშვს მართლაც არ უნდა ჭამა, და ვცდილობთ გამოვუმუშაოთ მას ბევრი ჭამის ჩვევა, რათა ბავშვი ჯანმრთელი და ძლიერი გაიზარდოს.

ბევრი ჩვენგანი იქამდე მიდის, რომ თითქმის აიგივებს ბავშვის სიყვარულს მისი გამოკვების სურვილთან. არც ეს არის გაუგებარი. ადამიანისადმი სიყვარულის გამოხატულება ყოველთვის იყო სურვილი დაგვეპურებინა საყვარელი არსება.

როცა მეგობრებს, ნათესავებს, ძვირფას ადამიანებს ველით, მთელ დღეს ვხარჯავთ მათთვის ნუგბარი საჭმლის მომზადებაზე. და თუ სტუმრებმა იმდენი ჭამეს, რომ შემდეგ ცუდად იგრძნეს თავი, ჩვენ მაინც გვეამაყება, რომ კარგად გავუმასპინძლდით მათ.

რა მოსდით ბავშვებს, როცა მათ ძალდატანებით ვკვებავთ?

დრო, როცა მათ საჭმელად ვსვამთ, იმდენად უსიამოვნოა მათთვის, რომ საერთოდ კარგავენ მადას, რაც უფრო მეტად იწვევს მშობლის შეშფოთებას და კიდევ მეტად ცდილობს თუნდაც ძალისძალად აჭამოს ბავშვს.

ბავშვები ლუკმას პირში ატრიალებენ, არ ყლაპავენ, იგონებენ ათასნაირ ფოკუსს. გაჰყავთ დრო. ყოველი ასეთი კვება მშობლისათვის ტანჯვად იქცევა.

თუ ბავშვს რომელიმე საჭმელი მოსწონს, სურს მხოლოდ ამგვარად გაკეთებული მიირთვას. მას არ აინტერესებს ახალი კერძი.

ბავშვი ძალდატანებით კვებას პასუხობს პირღებინებით, რადგან იგი ხვდება როგორ შეიძლება გათავისუფლდეს ძალად მიღებული არასასურველი საკვებისაგან. დროთა განმავლობაში ღებინება ჩვევად ექცევა, კუჭი იწყებს ცუდად მუშაობას და ღებინება უკვე ავტომატურად ეწყება. ამგვარი რეაქციის ალკვეთა ძნელი ხდება და შესაძლოა იგი ძალიან დიდხანს, მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვეს.

ბავშვებს, რომლებსაც ძალდატანებით კვებავენ, გამოუმუშავდებათ პროტესტის გრძნობა დედის მიმართ, თანდათან ეს პროტესტი სხვა სფეროებზეც გადადის და პრობლემა უფრო მწვავდება.

ძალდატანებით ბავშვის კვება დიდი შეცდომაა. თუკი ერთხელ დაადგებით ამ გზას, შეჩერება ძნელია.

ხშირად გვესმის დედისაგან: სულაც არ მინდა ძალა დავატანო, ვცადე კიდეც, მაგრამ სამი დღე ისე გავიდა, პირში მისხალი არ ჩასვლია.

ჩვენ კი დაბეჯითებით გირჩევთ: რაოდენ ძნელი მოსათმენიც უნდა იყოს, ნუ აჭმევთ ბავშვს ძალდატანებით. ამის მისაღწევად, ცხადია, სამი დღე არ გეყოფათ. საჭიროა რამდენიმე თვე. ნუ შეშფოთდებით თუკი პატარა წონაში ცოტას დაიკლებს. ამით მის სიცოცხლეს არაფერი ემუქრება. როგორც კი გაუძლებთ ასეთ გამოცდას, ბავშვი თვითონ მოგთხოვთ საჭმელს. მასაც გაუჩნდება საყვარელი კერძები, რაც საქმეს გაგიადვილებთ.

გახსოვდეთ, ბავშვის კვების მექანიზმი საათივითაა აწყობილი და თუ მოსამართს უკუღმა გადაატრიალებთ, იგი მუშაობას შეწყვეტს.

როგორც კი გადააჭარბებთ კვებაში, ბავშვს მადა ეკარგება.

რაც უფრო ადრე დაიწყებთ პრობლემის სწორ გადაწყვეტას, მით უფრო ადრე დაუბრუნებთ მადას თქვენს პატარას.

**ალან ფრომის წიგნიდან „ანბანი მშობლებისათვის“.**

● ესტრადის ვარსკვლავები ●

# მუდამ ვერ იქნები პოპულარული




**ეკა მამალაძე — ნანი ბრეგვაძის ერთადერთი ქალიშვილი, 36 წლის.**

**დაამთავრა მუსიკალური ათწლედი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით. ჩვიდმეტი წლისა გათხოვდა, პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა, მეუღლე ადრე გარდაეცვალა. ჰყავს სამი შვილი: 17 წლის ლევანი, 16 წლის გიორგი და 5 წლის ნატო. მეუღლე მერაბ ქუთათელაძე ბიოლოგია. ჩვენი ინტერვიუც მის ოჯახზე საუბრით დაიწყო.**

**— ოჯახი, სამი შვილი, ესტრადის პოპულარული მომღერლობა. ალბათ ძნელია ყოველივე ამის შეთავსება. თან ისე, რომ ყოველთვის „ფორმაში“ იყოთ.**

— ცხადია, დიდი ოჯახი, ქმარშვილი გარკვეულწილად მზღუდავს, ხშირად ვერ დავდივარ გასტროლებზე. ჩემი პოპულარობა ტელევიზიამ განაპირობა. ორი წლის წინ მაინც მოვახერხე დედასთან ერთად ამერიკაში გასტროლებზე წასვლა. დედაჩემს ახალგაზრდობიდანვე ყველანაირად გზა ხსნილი ჰქონდა. ოჯახი მისთვის არასოდეს ყოფილა ტვირთი, რადგან ოჯახის ბურჯი ბებო იყო — ცაბუ საყვარელიძე — სამი წლის წინ გარდაიცვალა. დედა კინაღამ შეიშალა ჭკუიდან, ისე განიცადა. ბებია ჩემი ნამდვილი დედა გეგონებოდათ. მისი გაზრდილი ვარ, ოჯახის მთელი ტვირთი მას ჰქონდა წამოკიდებული, მისთვის დიდი ბედნიერება იყო, ჩვენთვის შეემსუბუქებინა შრომა. ყველა საქმეს სიამოვნებით აკეთებდა, არც არასდროს უწუწუნია.

**— ეკა, ფრიად პატივცემული, თბილისში ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის დირექტორის ქალბატონ ლამარა მარგველაშვილის რძალი ბრძანდებით, ხშირად მინახავს, თქვენი გოგონა კალთაში უზის ბებოს, ასე მგონია, იგი მკაცრი და უკარებაა, როგორია თქვენს მიმართ, ოჯახში?**

— არაჩვეულებრივი ადამიანია. ავ-კარგიანი, ყველაფერში ხელს მიწყობს. ჩემი უფროსი შვილები მისი მოწაფეები იყვნენ, გადაყოლილი იყო მათზე, როგორც ნამდვილ შვილიშვილებზე, ახლა ლევანი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, გიორგი — მეათეკლასელი. ექვსი წელია მისი რძალი ვარ და ერთი გაუგებრობა არ გვქონია, ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ, ერთმანეთის მესაიდუმლენი. მიკვირს, რძალ-დედამთილს რა აქვთ გასაყოფი, რატომ ვერ ეწყობიან ერთმანეთს? ცალი ხელი მუდამ ჩემსკენ აქვს, მას ხომ ქალიშვილიც ჰყავს.

**— რას იტყვის მომღერალი ეკა მამალაძე ქართული ესტრადის ვარსკვლავის ნანი ბრეგვაძის შესახებ.**

— დედა მუდამ და ყველაფერში ჩემი იდეალი იყო. განცდა დღემდე მაქვს გამოყოლილი — მინდოდა სულ ჩემთან ყოფილიყო. რაც დრო გადის, უფრო ვხვდები, რომ დედა დიდი მომღერალია. სახლში ჩვეულებრივი დედაა, თბილი, დამთმობი, მოსიყვარულე. როცა გასტროლებზე ვართ, სხვა თვალით ვხედავ. რომ იცოდეთ, როგორი ზუსტი და პუნქტუალურია. როცა რაიმე არ მოსწონს, უშეღავათო და კაპასიცაა. რაც ბებო გარდაიცვალა, მისი მოვალეობა მე გადმოვიბარე, დედას ოჯახური საქმეებისათვის არ სცალია, უფრო სწორად, არ ვტვირთავთ და არც ეხერხება, ის

*

ჭეშმარიტი შემოქმედია. როცა მოეხასიათება, სამზარეულოში იცის ფუსფუსი, ჭურჭლის რეცხვა უყვარს (ამ დროს ისმის ქალბატონი ნანის ხმა სამზარეულოდან — „ეკა, თუ დროზე არ მოგვხედე, დავიხოცებით ამდენი სული უჭმელები“). ეს იმიტომ, რომ ოჯახის მთელი საოჯახო საქმე მე მეხება, სადილი, ბაზარი, მტერ-მოყვარე. მოხუცი ბაბუა...

**— როგორც მომღერალს, ზოგი თქვენ განიჭებთ უპირატესობას, ზოგი — დედას. მოგიკრავთ ყური ამისთვის?**

— პირშიც უთქვამთ, მაგრამ არ მჯერა. ყველა ადამიანმა მშვენივრად იცის, ვინ არის. როცა კონცერტიდან ვბრუნდებით, მაშინ ვაფასებთ ერთმანეთს მე და დედა. მშვენივრად გვესმის და გვჯერა ერთმანეთის. ნანის (შვილიშვილებიც კი სახელით მიმართავენ) ათი-თხუთმეტი წელია არ უმღერია თბილისში. მაყურებელი თითქოს გადაეჩვია. იქნებ, ერთი მხრივ, კარგიც იყო, უნდა მოენატრო მსმენელს, გადაჭარბებული არაფერი ვარგა. ახლახან ჩატარდა დედის ბენეფისი, ყველაფერში მე მივიღე მონაწილეობა, შავი საქმიდან დაწყებული. დედა ძალიან ლამაზი, მომხიბლავი და ამაღლებული იყო იმ დღეს, ასეთი დღეები არ შეიძლება უამრავი იყოს ადამიანის ცხოვრებაში, რაგინდ დიდი პიროვნება უნდა იყოს. ხომ არ შეიძლება მხატვარმა ან მწერალმა უამრავი შედევრი შექმნას, ასეა მომღერალიც. დედა მიწიერი არაა, ასე მგონია, სულ ზეცაში დაფრინავს. „ორერას“ დროს იმდენი იმოგზაურა, შეჯავრდა გასტროლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ახლა ირჩევს დიდ ქალაქებს, ყველა მიწვევას არ თანხმდება. საქართველოს ქალაქებს და რაიონებს ერიდება, ეს მისი რაიმე ახირება არ გეგონოთ, უბრალოდ, გაურბის მოუწყობელ, ცივ სასტუმროებს, ცუდ საკონცერტო დარბაზებს. მოკლედ რომ ვთქვა, დედამ იცის თავისი ფასი, ან რაა ამაში უცხო და გასაკვირი, ზემოთაც მოგახსენეთ, ადამიანმა, თავად უკეთ იცის, რას წარმოადგენს, რა ნიჭის პატრონია.

**— მეჩვენება თუ ვცდები, სიმღერის დაწყებამდე თითქოს დაჭიმული ხართ, ასეა?**

— როცა სიმღერას ვიწყებ, მუდამ ვღელავ, არაფერი შემეშალოს, მერე ყველაფერი ბუნებრივად მიდის. არ მიყვარს პრემიერა, პირველი ნამღერი სიმღერა თითქოს უცხოა ჩემთვის, რაგინდ მარტივიც იყოს ტექსტი და მელოდია. მერე და მერე უფრო ჩემეული ხდება.

**— მერე და, რა მშვენიერი თანავარსკვლავედი იყო: ბატონი ჯანსუღ კახიძე, ქალბატონი ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე და გოგი დოლიძე, განუმეორებელი, შეუდარებელი...**

— სავსებით გეთანხმებით, ასე იყო. მაგრამ მაინც ვფიქრობ, არ უნდა მობეზრდე მაყურებელს. თუგინდ ის კონკრეტული კონცერტი, რომელზეც თქვენ ბრძანებთ, იმდენჯერ აჩვენეს ტელევიზიით. მსგავსის შექმნა კი ნამდვილად ძნელია.

**— ალბათ როგორ განიცადეთ გოგის სიკვდილი, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მაყურებელს, თითქოს სცენაზე გეთაყვანებოდათ, გათამამებდათ?**

— მარტო გოგი კი არა, ჩვენი დიდი მაესტრო ბატონი ჯანსუღ კახიძეც, მოგეხსენებათ, როგორი მკაცრი და მომთხოვნია მომღერლის მიმართ, რაც უნდა შემეშალოს, მაინც მოფერებით სულ „ეკუნათი“ მომმართავს.

გოგის სიკვდილი მოუნელებელია. ის ყველასთვის იყო, მისთვის — არავინ. ვერ დააფასეს ისე, როგორც ეკადრებოდა, თუმცა თაყვანისმცემელი უზომოდ ბევრი ჰყავდა. სამგლოვიარო დღეებში რუსუდან სებისკვერაძემ სპეციალურად გოგის უძღვნა სიმღერა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე, თავზარდაცემული ვმღეროდი. მერეძა, როგორი ხელგაშლილი იყო, ალალი და უღალატო, შენი გულისთვის თავდაყირა დავდგებიო, მეტყოდა. ყველა სურვილს მისრულებდა, შუაღამეზე შემეძლო ამეყენებინა, თუ რაიმე დამჭირდებოდა.

**— გოგის შემცვლელი თუ გეგულებათ?**

— ნამდვილად არ მეგულება. ეს იყო ჩემი სადუეტო ეტაპი, რომელიც დამთავრდა. პარტნიორს არც დავუწყებ ძებნას, მასზე უკეთესს მაინც ვერ ვიპოვი, მირჩევნია, მარტომ ვიმღერო. მექნება ნოსტალგია იმ დუეტებისა, რომლებიც მე და გოგიმ ერთად შევქმენით.

**— მეგობრების ფართო წრე გყავთ?**

— შეზღუდული, ხუთი-ექვსი გოგონა ვმეგობრობთ. ნაცნობი — უამრავი. ბავშვობიდან მერჩია ჩემთან მოსულიყვნენ, თუმცა ყველანაირ სიტუაციას ადვილად ვეგუები, ვარ კაცთმოყვარე და კონტაქტური.

**— დიდ დროს თუ უთმობთ გარდერობს, ყოველთვის გემოვნებით ჩაცმული რომ გამოიყურებით, ვინ ზრუნავს თქვენს გარეგნობაზე?**

— არავითარი იმიჯმახერი არ გამაჩნია, მე თვითონ ვარ ჩემი თავის ბატონ-პატრონი. ეკონომიურად ძალზე ჭირს დღეს ცხოვრება, ესტრადასაც დიდი პრეტენზიები აქვს, მაგრამ მაინც ვახერხებ, სცენაზე სასიამოვნოდ გამოვიყურებოდე.

**— ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე მეუღლე ეჭვიანი ხომ არა გყავთ?**

— ჩვენ იდეალური მეგობრები ვართ. ურთიერთგაგებით ვცხოვრობთ. მან ხომ ესტრადის მომღერალი მითხოვა. ცოლ-ქმარს შორის როცა გაუთავებელი დავა და ეჭვიანობაა, ჭეშმარიტ სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია.

**— ოჯახში თუ გეხმარებათ ვინმე?**

— მეუღლე, დედამთილი, ბებოს ნაამაგარი ახლობელი ლიანა ჩემი დამხმარეები არიან. ერთი მოძველებული ავტომანქანა გვყავს, საჭეს ვუზივარ, მაგრამ მრავალრიცხოვანი ოჯახის გაძღოლა მაინც ძნელია. ძალიან მიყვარს დილის ძილი, რასაც ვერასოდეს ვახერხებ.

**—სამზარეულოში ფუსფუსი გიყვართ?**

— დიდ სიამოვნებას არ მანიჭებს, მაგრამ ბევრი რამის გაკეთება მაინც მიწევს, კარგ ტორტებს ვაცხობ, ბებო საუკეთესო დიასახლისი იყო, მისგან ბევრი კარგი რამ ვისწავლე.

**— რა არის თქვენი ჰობი?**

— მოგზაურობა, რომელიც ასე მაკლია.

**— დედას თუ უნდოდა, მომღერალი გამოსულიყავით?**

— თავიდან თითქოს, არ უნდოდა, მერე ყველაფერი თავისთავად აეწყო, სულ გული ტკივა, ისე მაინც ვერ გიწყობ ხელსო, დანანებით ამბობს. უნდა, ბოლომდე გამომჟღავნდეს ჩემი შესაძლებლობები.

**— როგორი დამოკიდებულება გაქვს მამასთან, ისიც ხომ არ მღერის?**

— მამა არ მღერის. კარგახანია სხვა ოჯახი ჰყავს. საოცარი სიბრალულის განცდა მაქვს მის მიმართ. მამა ჩემი სათუთი გრძნობაა, იქ თორმეტი წლის ნახევარძმა მყავს, მათთვის ნაკლებად ვიცლი, ამასაც განვიცდი. (ეკა მამალაძე საოცრად მომხიბლავი, სათნო და საყვარელი პიროვნებაა. ვინც მას ახლოს გაიცნობს, წუთითაც არ შეეპარება ეჭვი).

**— ეკა, რას უსურვებთ თქვენს მაყურებელს და მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს?**

— მადლობის მეტი რა მეთქმის, ტაშს მიკრავენ, ქუჩაში მცნობენ, ტრანსპორტში მიღიმიან, სასიამოვნო გრძნობაა, ამას გაფრთხილება უნდა, ვაი, რომ დადგება დრო, არავის ენდომები ალბათ, აღარც ემახსოვრები, ადამიანი ხომ არ შეიძლება სულ იყო პოპულარული, მაგრამ მაყურებელი, რომლისგანაც ამდენი სითბო მახსოვს, ყოველთვის მეყვარება.

ესაუბრა **ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ქალთა საბჭოსა და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში ამ მოთხრობას დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცა.

ნათელა ფაილოძე

# თამარის აღსარება

...დროდადრო იბადებიან რჩეული და შესანიშნავი ადამიანები, სათნოებით რომ ბრწყინავენ და მაღალი ზნეობით კაშკაშებენ, მსგავსად იმ საოცარი ვარსკვლავებისა, რომელთა გამოჩენა და გაქრობა ჩვენთვის იდუმალებითაა მოცული; ამგვარ ადამიანებს არც წინაპრები ჰყავთ და არც შთამომავლობა; თავად შეადგენენ თავიანთ საგვარეულოს შესანიშნავი ადამიანებისა. ასეთი საგვარეულოდან ერთ ქალზე მოგახსენებთ, რომლის ერთგულება არის ქანდაკებად ქცეული მორალი გუშინდელი სიყვარულისა, ადამიანი კი ხასიათის დიდი სიმტკიცითა და ჭკუა გონების სიღრმით უნდა გამოირჩეოდეს... ასეთ ადამიანებს მივაკუთნე თამარი, ქალი, რომელიც ყელს ისე მოიღერებს და ისე ადგამს ნაბიჯებს, რომ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, ქალის ასეთი სიდიადე და ბრწყინვალება შეიძლება მოჩვენებითი იყოს, შთაბეჭდილება ყალბი, რადგან მის სულიერ სამყაროში არავის ჩაუხედავს, არც ჩაგახედებს. თამარის დიდებულება კი უბრალოა და ბუნებრივი, რაკი ემყარება არა მხოლოდ სიარულს ან გარეგნულ თავდაჭერას, არამედ სულის ამაღლებულ თვისებებსა და კეთილშობილ წარმოშობას. მშვიდი და წარმტაცი მომხიბვლელობა, კდემა და ეშხი, რასაც თითქოს თავმდაბლობით მალავს, მაგრამ მაინც გამოსხლტება ხოლმე და შესამჩნევი ხდება მათთვის, ვისაც თვალი უჭრის.

— ვინ ხარ შენ, თამარ?

ვიცი პატივს სცემ ადამიანებს, რომლებიც გარს გახვევია, მათი შეფასების მთავარ კრიტერიუმად ყოველთვის თითოეულის სინდისსა და პატიოსნებას მიიჩნევ. ბევრს კითხულობ, გიყვარს მუსიკა, მოგზაურობა, — ფეხით გაქვს მოვლილი საქართველო... ცხოვრობ ისე, თითქოს მუდმივია შენი სიცოცხლე! მართლაც და, ვინა ხარ შენ თამარ? — ეს კითხვა აღმეძრა მაშინ, როცა ბოლომდე ჩავიკითხე მედეა გაიხარაშვილისადმი გაგზავნილი მისი ბარათები მეგობრისავე ნებართვით:

„...ჩემო მედეა, ბავშვობიდან მივეჩვიე და მიყვარს დღიურების წერა, ჩემი ბარათიც, რომელიც — მგონი დღიური უფროა, ვინემ ბარათი. წაიკითხე, ამჯერად ასე მსურს გესაუბრო, გაგიზიარო, რადგან შენ ყოველთვის ხვდებოდი ჩემი სულის ტკივილებს, ზოგი რამ ადრეც მიამბნია შენთვის, ზოგიც არა, ახლა გიმხელ პირველად, ჩანაწერები იმ დროს ეკუთვნის, როცა შენს სოფელში პირველად ჩავედი სამუშაოდ ერთი რიგითი მასწავლებელი.

## ივლისი

...თბილისში პედაგოგიური სასწავლებლის ბოლო კურსი დავხურე. დიპლომთან ერთად განაწილების საგზური გადმომცეს და ქვემო ქართლში დაწყებითი კლასის მასწავლებლად გამაგზავნეს.

რაიონის განათლების განყოფილებამ ცენტრიდან საკმაოდ დაშორებულ თქვენს სოფელში გამომიძებნა სამუშაო, სადაც პირველ, მე-2 და მე-3-4 კლასებს სულ ორადორი პედაგოგი ვასწავლიდით მე და შენ — კოლეგა მედეა გაიხარაშვილი, სამი შვილის დედა, იქ 15 წლის წინ ჩასული. ამ სოფელში ჩემი პირველი მასპინძელი შენ იყავი. გაგეხარდა ახალგაზრდა მასწავლებლის ჩასვლა. ბინაც შენს ეზო-კართან ახლოს მიმიჩინე, ყურადღება არ მომაკელი. პირველ დღესვე შემომატარე სოფელი.

მახსოვს, მაშინ სოფლის ცენტრში მდგომ ახალგაზრდების ჯგუფიდან ერთი მაღალი, შავტუხა, თმახუჭუჭა — ზიჩის დახატული ტარიელის მსგავსი ჭაბუკი გამოირჩეოდა. მაშინვე რატომღაც გულში გამკრა, — ხომ შეიძლება ამ ახალგაზრდას მოვეწონო და ჩემი მეუღლე გახდეს; ვინ იცის, იქნებ მედეასავით ამ სოფელში სამუდამოდ დამტოვოს მეთქი.

...მახსოვს, როგორ გამიგრძელდა ოცნება — მერე, მეყოლება 4 შვილი, შეიძლება ხუთიც ან მეტიც... ირგვლივ რა ხასხასა მინდვრებია, აქ ჩემი ბავშვები ირბენენ მასავით შავტუხები... გონებას გულმაც რატომღაც სიხარულით აუბა თანხმობით მხარი და ავაგე ოცნების კოშკები (მას კი ყოველთვის ვენდობოდი).

მაინცდამაინც იმ ჭაბუკზე რატომ ვიფიქრე? — ჩემა თავისთვის ვერ ამიხსნია; ასე კი იყო...

შენ ჩემი შეჩერებული მზერა დაიჭირე. მითხარი კიდეც: — ყველასაგან გამორჩეული ის ჭაბუკი ჩვენი სოფლის თავკაცის შვილია, ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, მეზობელ სოფლის სკოლაში ასწავლის.

ერთი სიტყვით, პირველი დღიდანვე იქაურობა მომეწონა. გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე მას თურმე მართლაც ტარიელი რქმევი. შენი დახმარებით შევეჩვიე სკოლას, ბავშვებს, მოვალეობას, იქაურობას და მთელი ხუთი წელიწადი დავრჩი შენს სოფელში.

შემდეგ ჩემი ოცნების ტარიელი და რეალური — იმ სოფლის მკვიდრი, როგორც ადგილობრივი კადრი, რაიონში გადაიყვანეს, დააწინაურეს და პასუხისმგებელი მუშაკი გახდა. დავრჩით სოფელში ერთ მეგობრულ წრედ შეკრული ორი მასწავლებელი, ერთი აგრონომი და ერთიც ბუხჰალტერი.

ტარიელი ხშირად ჩამოდიოდა მშობლებთან. მაშინვე ყველა მასთან ვიყრიდით თავს. წიგნიერი იყო, მასთან საუბარი მიზიდავდა. შეეძლო მესაუბრა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე და პოლიტიკაზეც... უყვარდა ქართული ფოლკლორი. ზეპირად იცოდა ქვემო ქართლში გავრცელებული იგავები, ზღაპრები თუ ლეგენდები, ხალხური ლექსები... საათობით უსაუბრია ჩემთან ანაბაჯიზე, და მიფიქრია, ამ ლეგენდის მოყოლას რომ გადამაყოლა, არ აჯობებდა სიყვარული ამიხსნას, ხელი მთხოვოს, თავის სახლში წამიყვანოს...

ეს მხოლოდ ფიქრი, ოცნება იყო. ამის გამჟღავნების უფლებას ჩემს თავს აბა როგორ მივცემდი, ვამჩნევდი თვითონაც და მისი მშობლებიც ჩემდამი გულგრილნი არ



მხატვარი ცინარა ტერელაძე

იყვნენ; იმასაც ვგრძნობდი, ჩემთვის რაღაც მნიშვნელოვანის თქმა რომ სურდა... ერთ ხანს, ყოველ შაბათ-კვირას ამოდიოდა სოფელში, მეძებდა, ცდილობდა ვენახში, გვესაუბრა... მაგრამ მაინც არაფერი მითხრა.

...შევეჩვიეთ მე და სოფელი ერთმანეთს, მაგრამ ვინ გამაჩერა. თბილისიდან ჩემიანებმა ჩამომაკითხეს და მანამ არ მომეშვნენ, სანამ იქაურობას არ მომაცილეს — 25 წლის ხდები, ხომ უნდა გათხოვდე, ოჯახს ეწიოო...

ეს ამბავი, მედიკო, შენ მთელ სოფელს მოსდე. სოფელში — რა დაიმალება და ისიც შევიტყვე ტარიელი დეიდის დაჟინებით თბილისში გადადის სამუშაოდ და მისთვის საცოლედ მუსიკის მასწავლებელი შეურჩევია, ურჩევს ცოლად მის შერთვასო. ამ ამბავმა საოცრად მატკინა გული. უსიტყვოდ დავტოვე შენი სოფელი. ვიგრძენი სოფელს რომ დავენანე, ცრემლიანი თვალებით გამომაცილეთ, შენ, ჩემმა მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმაც.

...ტარიელმა თურმე, მართლაც შეირთო მუსიკის მასწავლებელი. მალე მამაც გახდა. ეს ყველაფერი შენგან ვიცოდი, შენ ხომ ხშირად მაკითხავდი თბილისში. ისიც მითხარი, ტარიელის მეუღლეს ჩვენი სოფელი არ უყვარს, სულ ამოიკვეთა ფეხი. ტარიელი კი ხანდახან თუ ჩამოაკითხავს მშობლებს. გაჭაღარავდა, შენზე ხშირად მესაუბრებაო.

ბედნიერი ხარ? — გიკითხავს მისთვის.

— ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, გამებედა და თამარისათვის მეთქვა სათქმელი, აქედან არ გამეშვაო.

ამ სიტყვებმა გამახარა, ესე იგი, ვყვარებივარ-მეთქი. სიყვარული ხახვის ფოჩი არ არის, წყალში გადამეგდო, ჰოდა, დიდმა გრძნობამ ჩემი გულის ერთ კუნჭულში ძალზე ღრმად ჩაიბუდა. ასე ერთი ნახვით დაწყებული სიყვარული ალბათ სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება. ძველ სიყვარულს ჟანგი როდი ეკიდება. ალბათ განგებას ასე დაუწესებია. სიყვარულს სიხარულიცა აქვს და მწუხარებაც, აქ მოციქულ პავლეს სიტყვებს გავიმეორებ: „სიყვარული სულგრძელი არს და ტკბილ“

... არა და, წლები მომემატა. მშობლები დამეხოცნენ. მარტოდ ვერ დავრჩებოდი. ნათესავის ობოლი ბიჭუნა ვიშვილე. დეიდას მეძახის. მე კი როგორ მინდოდა 4-5 შვილი მყოლოდა. რა ვქნა, თურმე სიყვარულს ისეთი საბუთი გააჩნია, რასაც გონება არა ცნობს. განა არ იყვნენ ჩემი ხელის მთხოვნელები, არ გავთხოვდი, იმიტომ, რომ არ შემეძლო...

## აგვისტო

სკოლაში ისტორიას ვასწავლი. სკოლა და ლევანის აღზრდაა ჩემთვის ყველაფერი.

...ერთ ღამეს მწვანე ფერის სიზმარმა ამაფორიაქა. შენი სოფლის მწვანედ მოღაღანე მინდვრები მესიზმრა. ჩემს ოცნებაში იქ ჩასვლის პირველ დღეს წარმოსახული შავტუხა და თმახუჭუჭა ბავშვები — ჩემი შვილები დარბოდნენ. ისინი ჩემმა ყოფილმა მოსწავლეებმა შეცვალეს, მოსწავლეები სოფლის ცენტრში თავშეყრილმა ახალგაზრდებმა. — მათ გამოეყო ჩემი ტარიელი, ისევ ისეთი ლამაზი, ტანმაღალი, იმ ჩაცმულობით, როგორც პირველად ვნახე; ჩამჭიდა მარცხენა მკლავში ხელი და ჩამძახა — ჩემთან უნდა წამოხვიდე!

გავუძალიანდი.

შეშფოთებულს გამომეღვიძა... ჭირის ოფლში ვცურავდი. მახსოვს მეორე დღეს შენ მესტუმრე (ადრე უფრო ხშირად ჩამოდიოდი ჩემთან, წლებმა ჩვენი მეგობრობა არ წაშალა), დამწუხრებულმა მიამბე:

— იცი წუხელ, აქ თბილისში, საავადმყოფოში ტარიელი გარდაიცვალა. გულმა უმტყუნა. უკვე სოფელში წაასვენეს. მე შენთან წამოველ, უკვე გვიანია, შინ ხვალ დილით გავბრუნდები.

20 მარტს დაასაფლავეს ტარიელი. მინდოდა მიხაკებით პანაშვიდზე მაინც მოვხვედრილიყავი, მაგრამ ვერ გავბედე, შენც კი ვერ გაგიმხილე ეს სურვილი, იმ დღეს ჩემი გულის ერთ კუნჭულს, სადაც დიდი სუფთა გრძნობა — სიყვარული იყო მოკალათებული, მძიმე სარქველი დაეხურა...

...ეკლესიაში, ჩემი სულის მოძღვარს გავუზიარე ყოველივე, იცი მღვდელმა რა მითხრა? — ადამიანს სიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის წინ თვალწინ ის სახეები უდგას, ვინც უყვარდა და ენატრებოდაო.

ეკლესიაში მის სახელზე მუდამ სანთელს ვანთებ.

## სექტემბერი

...ჰოდა, სულიერი ტკივილით სავსეს ძალზე მჭირდება შველა. დარდის გაქარვებაში მშველის ჩემი პროფესია — მასწავლებლობა, შინ კი ლევანი და საკუთარი ბიბლიოთეკა. წიგნები, მუსიკა და ლევანთან ერთად საქართველოს გზებზე მოგზაურობა მევლინება სულის ჭრილობის მკურნალად. ეს მათ გადამატანინეს ტარიელის სიყვარულიც და მისი მოულოდნელი სიკვდილიც, კიდევ გიმეორებ, სიყვარულს ხომ ისეთი საბუთი გააჩნია, რასაც გონება არ ცნობს, ქართული ანდაზა ამბობს: „ვისაც ვინ უყვარს, იმისი ლამაზი ის არისო", — ვერაფერმა ამოშალა ის დიდი გრძნობა ჩემი გულიდან, გონებიდან. ჩემო მედიკო, ასე მგონია ერთგულების გამოვლენა, სათნოება და სხვათა ერთგულების გამოცდაა ბედნიერება!

...ეს გაუნელებელი უდიდესი გრძნობა, ჩემი ტკივილის თუ საფიქრალის თავშესაფარი არ განელდა, ალბათ ეს არის ნამდვილი სიყვარულის დაუწერელი კანონიც.

## ოქტომბერი

... ცხოვრების რა მხარესაც არ უნდა შეეხო, ზედაპირულად კი არა, ღრმად წვდომის სურვილით, ამჩნევ, ადამიანები ცალ-ცალკე და ყველანი მარტონი არიან, ყველა სათითაოდ მტკივნეულად მალავს თავის სულის სატკივარს, ზოგჯერ სიხარულსაც, ვეკითხები ჩემს თავს ამას რომ ვამბობ, ხომ არ აჭარბებ, თამარ?

გაიხარე მედეა (გვარიც ხელს გიწყობს გაიხარაშვილო), შენს სოფელში შვილობილთან ერთად ხშირად ჩასვლის საშუალება რომ მეძლევა, იცი, როგორ მიხარია, როცა სამივენი დავეხეტებით ნაცნობ ორღობეებში: ჩემი ყოფილი მოსწავლეები, თავად უკვე მშობლები, მხვდებიან, მეფერებიან, მე ამით ბედნიერი ვარ.

გახსოვს, სოფლის სასაფლაოსაც რომ მივაკითხეთ. მოუვლელი დამხვდა ტარიელისა და მისი მშობლების საფლავები. მეუღლე — მუსიკის მასწავლებელი შვილებთან ერთად თბილისში ისე დაფუძნებულა, აქაურობას ათასში ერთხელ თუ მოაკითხავენო, მიამბე. საღამოს კი, როცა სახლებში ელექტრონათურები აინთო, გაჩახჩახებულ ოდა-სახლებს შორის ტარიელის სახლი იდგა თვალებდათხრილი. ამის შემხედვარეს თითქოს გულის კუნჭულში, იქ, სადაც ჩემი დიდი სევდა და სიყვარული ესვენა, სარქველი შეინძრა, ტკივილი ვიგრძენი. მხოლოდ ჩემს გასაგონად ჩურჩულით წამომცდა: — ფუძე-კარი არ უნდა მოიშალოს ადამიანმა მეთქი. რომ არა ბედისწერა და განგების ხვედრი, ხომ ვერ დარჩებოდა იმ სოფელში ჩემი ტარიელის სახლი ასე მიტოვებული?

ჩემი სურვილი შენ გაგიმხილე, როგორც ტარიელის საფლავზე, ჩემს საფლავთანაც მსურს ალუბლის ხე დარგოს მეთქი.

გაიოცე: — როდის იყო საფლავზე ალუბლის ხეს რგავდნენ, პირველად ტარიელის საფლავზე ვნახე, მეზობელს დაურგავსო; ალუბალზე უფრო ალუბლისფერი უყვარდა ტარიელს, ამის შესახებ თურმე ხშირად უთქვამს თანასოფლელებთან.

მენიშნა. იმ სოფელში პირველად ჩასვლისას სწორედ ალუბლისფერი კაბა მეცვა, აკი საუბრისას ხშირად წამოსცდენია-ალუბლის ფერიაო ჩემი საყვარელი ფერი. შავ კოსტიუმზე ამ ფერის ჰალსტუხს ატარებდა. ერთხელ გამიმარტა კიდეც: — ზოგი მუხაში ხედავს ძალასა და კეთილისმყოფელობას, მე კი ამ ალუბალში, მის ტოტებში ვხედავ სინაზეს, ზღაპრულ სიმსუბუქესო... მახსოვს, ჩემი ნათქვამი უპასუხოდ რომ დატოვე და ხმამაღლა შენთვის ჩაილაპარაკე:

— შეცდომა იყო ამ სოფლიდან შენი გაშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, შეცდომა კი არა ბედისწერა! — გიპასუხე და ცრემლებმა დამინისლეს თვალები.

— ხშირად ჩამოვალ, ხშირად ჩამოვალ, ჯიუტად იმეორებდა ჩემი გონება, გულიც თანამიგრძნობდა ამ გადაწყვეტილების მიღებას, რადგან მჯერა — ადამიანს მხოლოდ სამი რამ ჭირდება: სიყვარული, რწმენა და სამშობლო; ადამიანისათვის არცერთ მათგანს არ ჭირდება მოსაწვევი ბარათი. ჩემთვისაც, რომელსაც ქართული პურის, ვაზის, მისი ჰაერის, მისი ცისკრისა თუ შეღამების, მისი ანკარა წყლის, მისი მთების, ტყეების გარეშე ვერ წარმომიდგენია, იმ სოფლის გარეშე, სადაც დიდ გრძნობას ვეზიარე. და მეც, ხშირად მსურს მონახულება შენი სოფლისა, სადაც პირველად დავიწყე დამოუკიდებელი შრომა, სადაც მესტუმრა დიდი, დღემდე მოუშორებელი დიდი ტკივილი და მყავს მეგობარი მედეა! მაგრამ... დრო ხომ საოცარი მკურნალია. ამ ბოლო დროს რამ დაარღვია ადამიანების სულის სიმშვიდე? — წამომცდა ერთხელ უნებურად.

— სულის სივიწროვემ, — ამიხსნა 15 წლის შვილობილმა. მას ყველაფერი ესმის, გრძნობს და აღელვებს.

— თითქოს სადღაც გვეჩქარება, გვსურს ყველაფერი მოვასწროთ... ლევანთან საუბარს ვაგრძელებ ფიქრითაც და ხმამაღლაც, ეს ძალზე მშველის.

ხშირად მიფიქრია, ნუთუ ხმაურიანი ქალაქის განშორების გამო აღვითქვი ასე მძლავრად შენი სოფლის სიმშვენიერე და ყოველივე. მე ხომ მაშინ სრულიად ახალგაზრდას, შორეულ სოფელში სამუშაოდ მარტოკად ჩასულს სულაც არ შემშინებია.

ჩემო მედეა, მენატრება შენი საყვარელი სოფლის ველ-მინდვრებისა თუ ორღობეების დავლა. უკვე შვილიშვილებით დაიხუნძლე და სოფელში ღრმად გაიდგი ფესვები, ისე ხშირად ვეღარ სტუმრობ ჩემთან. მადლობელი ვარ იმისათვის, რომ მეგულვები... გვარიც ხომ დიდებული გაქვს, — გაიხარა — შვილო!... შენთან ყოფნით, იმ შენი სოფლის ბალახის სურნელებას ვგრძნობ; რას ვიზამ, ბედისწერამ ისე ვერ წარმართა ყველაფერი, რომ შენს მეზობლად დავრჩენილიყავი, ამხდენოდა ოცნება — მყოლოდა შვილები და შვილიშვილები, ამით ჩემი კუთვნილი წვლილიც ყოფილიყო ჩემი ერის გამრავლებაში; და დღეს შუქჩამქრალი არ მდგარიყო ტარიელის სახლი სოფლის შუაგულში. სოფელში მას მშობლების, თუნდაც საკუთარი საფლავის მიმხედავი არ დაკარგოდა.

ნათქვამია, სიყვარულში ყველაზე მეტად ის აგებს, ვისაც უფრო ძლიერად უყვარსო.. მე და ტარიელმა ორივემ წავაგეთ. მას გაბედულება არ ეყო ჩემთვის ეთქვა სათქმელი, მე კი ჩემმა აღზრდამ შემიშალა ხელი, აბა პირველს როგორ მეთქვა მიყვარხარ მეთქი ვაჟისათვის. დეიდამისი აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი და პრაქტიკული ჭკუის ადამიანი, რათა უფრო მომგებიანი და პრესტიჟული პროფესიის მეუღლე ჰყოლოდა ტარიელს; ასე დავკარგე შენი ლამაზი სოფელი დედობისათვის, სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის გაჩენილმა ქალმა, — ეჰ, არავინ უწყის, ვის რას უმზადებს ბედისწერა; ის კი ნამდვილად მწამს, ადამიანს რაც შუბლზე აწერია, არ ასცდება".

...დიდ პატივისცემასთან ერთად ღრმა ადამიანური ინტერესი გამოიწვია ჩემში თამარის ავტოპორტრეტმა. იქნებ ეს ავტოპორტრეტი, როგორლაც მისი თაობის ნაწილია? ... და შეკითხვაც თავისთავად კვლავ წამოტივტივდა:

— ვინ ხარ შენ, თამარ?

— სხვა არავინ, თუ არა ჩემი თაობის ნაწილი! — გამცა პასუხი ჩემმავე იდუმალმა ხმამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან ჯავახიშვილი



# სევდის პრინცი

## ერთხელ, ზამთარში

თვითონ არ ვიცი, სად მივდიოდი,
ღამით ზამთარში, მარტო. ეული,
შევნიშნე ძაღლი მომდევდა წყნარად,
ავდრის ბურუსში გამოხვეული.

მივყვებით აღმართს, თოვლი, სიცივე,
ის, ქუჩის ძაღლი და მე, მარტონი,
ვუყურებ, თვალი მევსება ცრემლით,
ისე მომინდა მყავდეს პატრონი.

ისე მომინდა ვინმე მელოდეს,
ვინმე ფიქრობდეს ჩემზე, ჩემს ბედზე,
ვილაც, ამ ღამით ჩემთვის წვებოდეს,
სულ ფარატინა გრძნობის იმედზე.

ხელს მოვკიდებდი ამ მურა ნაგაზს,
მოვაცილებდი ბედის ბოლომდე,
სიმარტოვეა რომ გვირევს გზა-კვალს
გულგრილობაა რომ გვაბოროტებს.

ამის ბრალია ალბათ ავდარიც,
ასე ძნელად რაც დაითმინება,
ჩვენ ხომ ქუჩაში დაგვრჩა ზამთარი,
ახლა სიცივით რომ იკბინება.

## ვარდი

ეკალს იმარჯვებს,
ფარად იფარებს
და ასე ფიქრობს
ნაზი ყვავილი,
რომ შევშინდები,
ხელს არ შევახებ,
არ შევჩერდები,
ისე, ჩავივლი.
ის კი არ იცის
მკერდსაც შევაზევ,
ისე მწყურია
ჩემი წადილი.

## მეგობარს

ო, რამდენი ხანია
ჩვენ არ დაგვილევია,
ო, რამდენი ხანია
არ ვყოფილვართ მთვრალები,
ფხიზელი კი ძალიან
ძნელი ასატანია,
კაცი დროით დაღლილი,
სიცოცხლით ნაწვალები.

ალბათ შენი ვალია,
ალბათ ჩემი ვალია,
შევიფეროთ ლოთობა
ასე დანაბრალები,
რადგან შენც გენატრები,
რადგან მეც მეღანდება.
შენი წყნარი ღიმილი
ტკბილი და ნამთვრალევი.

## სევდის პრინცი

მისი სიმარტოვის ბრწყინვალება,
მარად სევდიანი პრინცი,
გულში რა ტკივილი იმალება,
ქვეყნად არავინ არ იცის,

თორემ ვინ შეძლებდა გაღიმებას,
ან ვინ გაბედავდა სიცილს...
მისი სევდიანი ბრწყინვალება,
ჩემი სიმარტოვის პრინცი.

## ოდა ქალს!

ქალს რას გაუგებ, ქალი დიდია,
და ქალისგან გვჭირს ქვეყნად ყოველი,
ტკივილი, წლები რასაც ითვლიან
და შემართებაც ყოვლისმომცველი.

ქალი ბედია, ქალით იწყება,
მისით მთავრდება ჩვენთვის სოფელი,
მოწყალეა თუ თან გვდევს რისხვებად,
სილამაზის და ეშხის მთოველი.

ქვეყნად მადლობა, რაც უძღვნეს დედას
ქვეყნად მადლობა უძღვნეს სიყვარულს,
ბავშვი, რომელიც სიხარულს ხედავს,
თავს ვინც ანებებს უკვე სიხარულს.

ისიც კი ხედავს, მანაც კი იცის,
რომ ქალს ეკუთვნის მთელი სამყარო
და რატომ გიკვირთ, რომ მე პოეტმა,
დავიჩოქო და თავი დავხარო.

## მეუღლეს

ალბათ რაღაცა დაგაქვს თილისმა,
რომ შენს სიყვარულს გული არ ტოვებს,
საფლავის ქვაშიც გააღწევს ცრემლი,
ოღონდ იქამდე ნუ მიმატოვებ.

როდესაც წავალ, ისიც გვეყოფა,
სიკვდილს ამ ქვეყნად ვწუხვარ მარტო მე?
ოღონდ იქამდე ნუ დამიტირებ,
ოღონდ იქამდე ნუ მიმატოვებ.

## კლასიკური სამკუთხედი

თუმცა სამი აქვს სამკუთხედს გვერდი,
გაურკვევლობა ჩაძირავს გემს,
ამოირჩიე ვინ გინდა გვერდით...
ის, შენ და მე!

იგი, რომელიც ასე გენდობა,
თუ ის, ღრუბლებში ვისთანაც ფრენ,
ვინ მოითხოვოს უნდა შენდობა...
ის, მე და შენ!

გახსოვდეს ერთი მხოლოდ ერთობა,
მეორე უკვე თავისად გთვლის,
გაურკვეველი ურთიერთობა...
მე, შენ და ის!

## მონანიების ჟამს

კაცი უნდა იყოს ყველა მშვენიერი,
მაგრამ ზოგჯერ ცდება მამაზეციერი
თურმე ასეც ხდება, როცა მამა ცდება,
როცა აირევა გზები ჩვენმიერი.

რატომ უნდა მქონდეს მე კაცის იერი,
რატომ უნდა ვგავდე ხხვებს სულით ლამაზებს,
როცა ეს ამბორი, გესლი წამიერი,
არაფერს წუხილის მეტს ქვეყნად არ ბადებს?

იზრდება ეკალი ფაქიზი სუროდან,
ტკივილი მაწუხებს მძაფრი და ძლიერი,
ნუთუ მართლა ცდება, თუ როგორც უნდოდა,
ისეთი დამბადა — უნდო და ცბიერი.

# ყველანი ვართ დედოფლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საჭიროა თუ არა პატარა ფერიების ცრემლიანი კონკურსი?**

თითქოს ბუნებრივია, რომ ჩვენმა გართულებულმა, ახლებურმა ყოფამ მოიტანა და ჩვენც თითქოს მივიღეთ, ავყევით კიდეც ბევრ ისეთ რამეს, რაც ადრე აზრადაც არ მოგვივიდოდა.

ასე მოხდა ამჯერადაც. ოციოდე წლის წინათ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, მით უფრო, ვერც მოაწყობდა კონკურსს 6-დან 11 წლამდე გოგონათა შორის „თბილისის ფერიის" გამოსავლინებლად. ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა ბავშვი ლამაზი იყო და მათ ფსიქიკასაც გაფრთხილება სჭირდებოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, დრონი მეფობენ...



ამიტომ, აღარ გაგვკვირვებია, როდესაც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სილამაზის კონკურსი „თბილისის ფერია-96" ჩატარდა: 72 გოგონა ეცილებოდა ერთმანეთს რამდენიმე ნომინაციაში. ბავშვები დაბრკოლებების გარეშე არ მისულან ამ დღემდე: ჯერ ორი შესარჩევი ტური გადალახეს, მერე ხანგრძლივ რეპეტიციებზე (ქორეოგრაფი ავთანდილ ძნელაძე) გაიწაფნენ გრაციასა და ესთეტიკაში. თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ არც „ნომინაცია", არც „გრაცია" და, მით უფრო, „ესთეტიკა" 6-11 წლის მოზარდებს არ აინტერესებთ და არც ალღვებთ მისი ფლობა-არფლობის საიდუმლოება, მაგრამ პირველობისა და გამარჯვების სიტკბოს კი სინჯი აულეს. ამიტომაც მტკივნეულად განიცდიან სულ მცირე წარუმატებლობას და მეტისმეტად ღელავენ ჟიურის წინაშეც და... კულისებშიც.



მართლაც გაუძნელდათ ჟიურის წევრებს საუკეთესოთა შორის მთავარი ფერიის არჩევა. ამიტომაც მსჯელობდნენ თითქმის ერთ საათს ამის თაობაზე.

საკონკურსოდ განკუთვნილი დარბაზის სცენა მართლაც რომ დაამშვენეს სტუდია „დებიუტისა" და ხელოვნების გიმნაზიის ნორჩმა შემსრულებლებმა. საღამოს ოსტატურად, ჩვეული იუმორით უძღვებოდნენ: გია ჯოხაძე და ბაკურ ბაკურაძე.

მაგრამ მათ, სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბეს გულშემატკივრებმა, რომლებიც პირდაპირ კონკურსის მსვლელობის დროს დაუდევრად ადიოდნენ სცენაზე პატარა ფერიების მიმართ თაყვანისცემის გამოსახატავად, ამით კი თავიანთი ფავორიტებისადმი უპატივცემულობას უფრო ამჟღავნებდნენ.

ბოლოს და ბოლოს ჟიურიმ თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა: „თბილისის ფერია-96" და გრან-პრის მფლობელი გახდა ანი იოსელიანი, მოზარდთა შორის — სოფიკო ხაჩიძე. გამოვლინდნენ სხვა პრიზების მფლობელებიც: „ყველაზე მომხიბვლელი", „ყველაზე ზღაპრული", „რომანტიული", „მის ფოტომოდელი", „მის თოფმოდელი", „მის კინოშანსი", „მის კინოვარსკვლავი", „ყველაზე ელეგანტური", „არტისტიზმისათვის". გამომჟღავნდა საუკეთესო კოსტიუმის მფლობელი, მაყურებელთა სიმპათიის მესაკუთრე და ა. შ.



თითქოს მხოლოდ ტაშითა და სიხარულით უნდა დამთავრებულიყო ფერიათა ეს ფეიერვერკი, მაგრამ, სამწუხაროდ, ფერიების მშობლებმა ვერ გამოიჩინეს ანგელოზური მოთმინება და სიმშვიდე...

კონკურსის ორგანიზატორი და ჟიურის თავმჯდომარე უმწეო აღმოჩნდა განაწყენებულთა წინაშე. არ გაჭრა არავითარმა დაპირებამ და პატარებმა თვალცრემლიანებმა და დათრგუნულებმა, დატოვეს ასპარეზი.

ყოველგვარი კონკურსი, ბუნებრივია, ღელვასა და ნერვიულობას გულისხმობს უფრო მეტად მაშინ, თუ იგი მონაწილეთა ფიზიკურ მონაცემებს შეეხება. ნერვიულობას არა უშავს, მაგრამ დაუშვებლად მიგვაჩნია ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელმაც შესაძლოა მოზარდის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედოს.

მოდით, ვენდოთ პატარების ამღერებულ გულებს, რომელთაც სჯერათ, რომ ისინი ყველანი, უკლებლივ, დედოფლები არიან, როგორც ამას სცენიდან გვაუწყებდნენ სიმღერით. საეჭვოდ ნუ გავუხდით მათ რწმენას: თითოეული მათგანი ღვთის რჩეულია და უკვე გამარჯვებული, რადგან ამქვეყნად არსებობს.

**მანანა იმესაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილი სულის მუსიკაა



ადამიანი ტირილით იბადება და ტირილითვე კვდება. მათ შორის ცხოვრებაა, სადაც სიამეს — მწუხარება დარაჯობს, სიყმაწვილეს — მოხუცებულობა, სიყვარულს — განშორება, სიცოცხლეს — სიკვდილი, და წუთისოფლის ამგვარ ტრიალში ადამიანმა უნდა იტიროს და იცინოს კიდეც.

არავინ უწყის ტირილით დაბადებულმა ადამიანმა როდის გაიცინა პირველად, დედამიწის რომელ კუთხეში გაისმა პირველი სიცილი? ან კი როგორი იყო ის, სიხარულის გამომხატველი თუ დამცინავი? იქნებ სამოთხიდან გამოდევნილმა ადამის მოდგმამ პირველად თავის თავს დასცინა?

ყველა რელიგია და მითუმეტეს ადრეული ქრისტიანობა ადამიანის გრძნობათაგან ტანჯვას და ტირილს ანიჭებს უპირატესობას, და ეს სავსებით ბუნებრივიცაა. ქრისტეს გზაზე შემდგართათვის მართლაც და სრულიად მიუღებელი იყო ყველა სხვა გრძნობა, თვინიერ სინანულისა, ამქვეყნიური ტანჯვისა და ამ გზით მოპოვებული შვებისა. საოცრად ძნელი წარმოსადგენია გაცინებული შუშანიკ წამებული ან ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი. მაგრამ მოხდა ისეც, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ IV საუკუნეში თითქმის სრულიად უარყო სიცილი (თვით უბრალო მოკვდავთათვისაც). მოგვიანებით საქართველოშიც 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ექვთიმე მთაწმინდელის მტკიცებით „აკრძალა ყოველგვარი ამქვეყნიური ჩვეულება, რომლებიც იწვევდნენ სიცილს“. სხვა ქვეყნის რელიგიის ისტორიაშიც შეიძლება მსგავსი მაგალითების მოძიება.

მაგრამ ერთი ხომ ფაქტია, სიცილის თუ ტირილის მსგავსად, ჩვენ ბუნებაში ხშირად ვაწყდებით ისეთ კანონზომიერებებს, რომ ძნელი დასაჯერებელი ხდება, აქ ღვთის ხელი არ ერიოს.

და თუკი ეს ასეა, ალბათ ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ხშირად გმობდნენ, ამცირებდნენ, დევნიდნენ სიცილს, ის მაინც არსებობდა და თვითონვე გმობდა, დევნიდა, ამცირებდა... უფრო მეტიც, სიცილი სჯიდა სამყაროს ნაკლს, ადამიანთა მანკიერებასა და ულვთობას.

მანკიერება კი როგორც ვიცით სატანის შემოქმედებაა, და ღმერთმა მასთან საბრძოლველად ტირილს სიცილი იმთავითვე დაუწყვილა და ადამიანიც, ძირითადად, ამ ორი გრძნობით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ბუნებასთან, მეორე ადამიანთან, ამქვეყნიურ ყოფასთან.

სწორედ სიცილი შეიქმნა ავისა და კარგის საზომი. აკი ამბობენ კიდეც: „არაფერში მჟღავნდება ადამიანის ბუნება ისე, როგორც სიცილშიო, ან იმაში, თუ რა მიაჩნია მას სასაცილოდ“.

ძველ რომაელებს თურმე ძლიერ უყვარდათ სისხლიანი სანახაობანი. მაგალითად, მათ აცინებდა შეშინებული მონის გამომეტყველება, როცა მას კვერცხი უნდა დაედო გამძვინვარებულ მხეცებს შორის. ისინი მხიარულობდნენ მაშინაც, როცა ხეიბრებსა და ქონდრისკაცებს ერთმანეთს აჯიბრებდნენ. ერთ ფილოსოფოსს უთქვამს: „ბედნიერნი იცინიან ჯუჯაზე, მაიმუნზე, ყეყეჩზე, ხოლო ნაკლებად ბედნიერნი იმაზე, რაც ჭეშმარიტად სასაცილოაო. რომაელთა ამგვარ „ბედნიერებას“ კი მათივე იმპერიის დაცემა მოჰყვა.

ეტყობა, შემოქმედი არ პატიობს სიცილსა და დაცინვას იმის მიმართ, რაც ძვირფასი და წმინდაა ადამიანისთვის.

დავით აღმაშენებლის დროს სამშობლოს დამცველებს შორის „მორობაა, მარილიანსა, ჯანიანსა და მარგებელ სიცილს აზრი უნდა, მომავლინებლად საბუთი უნდა“. ამგვარ საბუთს კი ადამის „ცოდვით დაცემული“ მოდგმა ხშირად იძლეოდა, და სიცილიც თავის საქმეს აკეთებდა: ამათრახებდა კაცთმოძულეობას, გაუმაძღრობას, ამპარტავნობას, სიძუნწეს, სიზარმაცეს, მას გილიოტინაზე აჰყავდა „ხალხის მსახურად“ მოვლენილი „შიშველი“ მეფეები და პოლიტიკოსები, პაპები და ჯელადები, ამორალური მორალისტები, ულვთო ეკლესიის წმინდა მსახურნი, ინკვიზიტორები და საქვეყნოდ სჭრიდა თავს.

სიცილი არც ფარაონის მონად ქცეულა, არც ყმად დასდგომია ბატონს, არც იმპერატორის ამალა დაუმშვენებია და არც მონარქის ქვეშევრდომობა უკისრია. ებრძოდა „ძლიერთ ამა ქვეყნისა“ და მართალი ხალხის ქომაგად, ჭეშმარიტ სახალხო გმირად რჩებოდა ყოველთვის. ამას მოწმობენ ეგვიპტური პაპირუსის გრაგნილები, უძველესი ხალხური ანდაზები, პამფლეტები, ანეკდოტები, რომლებიც დღემდე შემორჩენია კაცობრიობის მახსოვრო-

სპობილი იყო საეშმაკო სიმღერები, სანახაობანი, განცხრომანი და ყოველი უწესობა“.

ჭეშმარიტად: „ჟამი არს შობისა და ჟამი სიკვდილისა, ჟამი სიცილისა და ჟამი ტირილისა“.

თუმცა „სიცილიც არის და სიცილიც“, წერდა ილია ჭავჭავაძე; „უაზრო, უმიზეზო სიცილი ლაზღანდა-

ბას. სიცილი ეკლესიაშიც შეიჭრა და დემონის კარიკატურის სახით აძვრა კაპიტელებზე, ბალისტრადაზე, პორტალებზე, კათედრაზე.

და, არამარტო მარტვილობითა და ლოცვებით, ტირილითა და მონანიებით, სიცილითაც იძლია სატანა.

დიახ, სიცილით ემხობოდნენ მიწიერი კერპები და გვირგვინოსნები... „სადაც სიცილია, იქ ნახვამდის ჩინო და მორჩილებავ!“ ოხრავდნენ ჩინოსნები. სიცილი გამოხატავდა ბრძოლისუნარიანობას, სიცოცხლის ხალისს, ადამიანთა მანკიერი ურთიერთობების, ცხოვრების, ყოფის მოგვარების ცდას, რადგან დაცინვის ეშინოდათ იმათაც, ვისაც არაფრის ეშინოდა.

აი, რა ძლიერი, მაგიერი ძალა აჩუქა ღმერთმა გონიერ ადამიანს. ამიტომაც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან სიცილის ფასის მცოდნე ადამიანები, ბახუსის თანმხლები სატირებივით მოედვნენ ქვეყანას მოშაირეებად, მასხარებად, მესტვირეებად. სხვადასხვა გვარ-ტომის ადამიანები ანტიკური ხანიდან მოყოლებული სიცილის ტურნირებში იწვევდნენ ერთმანეთს. დღემდე შემორჩენილი დიალოგური შაირ-კაფიობა, იმ ხანიდან იღებს სათავეს. „სიცილი ბასრ ხმალზე მჭრელია, ერთს აწყლულებს, მეორეს აფრთხობსო“ წერდა ილია ჭავჭავაძე და ამიტომაც იყო ალბათ, რომ „დაცინვით დაწყლულებულმა“ მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ სასტიკად აკრძალა ყეენობა (ერთგვარი ორგანიზებული სიცილი), რომელიც ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ დღეს იმართებოდა საქართველოში.

საბედნიეროდ, სიცილზე არც კერძო და არც სახელმწიფო საკუთრება არ არსებობს და მიუხედავად ბარიატინსკის გაავებისა, ავხორცი ეკატერინეს მიერ გამოცემული „გაჩუმების მანიფესტისა“ თუ კარლოს X-ის მიერ „შექმნილი“ კანონისა: „სახელმწიფოში სიმშვიდის დასაცავად აიკრძალოს მეცნიერება და ფიქრი“ — ხალხი მაინც ფიქრობდა, ამხელდა, ქმნიდა და დასცინოდა.

„ოლიმპოს ღმერთების სიცილის მსგავსად მოისმის საუკუნეების სიღრმიდან —ეზოპეს დაცინვა, რაბლეს მჭექარე სიცილი, ერაზმ როტერდამელის დახვეწილი ირონია, მოლიერის შარიანი სატირა, ვოლტერის ბრძნული ღიმილი, ბომარშეს იუმორი, დომიეს კარიკატურა, ჰაინეს მჩხვლეტავი ირონია, ფრანსის სკეპტიკური და ტვენის მხიარული იუმორი, შოუს ირონია, გოგოლის, კლდიაშვილის ცრემლიანი სიცილი, შჩედრინის განგმირავი სატირა, ჩეხოვის, დუმბაძის ლირიული იუმორი, და ეს „ჰომერული სიცილი“ დროდადრო აჩერებდა ადამიანის „ამაღლებიდან სასაცილომდე დაცემის“ უმოკლეს ვადას, აფხიზლებდა მათ... აკი ნათქვამია: „სიცილი დიდი სანიტარიაო“.

ხოლო ვინც მაინც ეცემოდა, ბოროტდებოდა და შურს იძიებდა, რაც უფრო სასაცილოსა და საცოდავს ხდიდა მას. საბერძნეთში, პოლიტიკურ ცენტრ დელფოსში, ეზოპეს ცილი დასწამეს ქურდობისათვის და სიკვდილით დასაჯეს. არისტოფანეს სასამართლო მოუწყვეს, იუვენალი რომიდან გააძევეს, ვოლტერი ემიგრაციაში გაიქცა, რაბლე გადაურჩა კოცონზე დაწვას იმიტომ, რომ ბუნებრივი სიკვდილით დაასწრო ჯალათებს... და მაინც, თუკი მოსწრებული სიტყვა, პამფლეტი თუ ანეკდოტი ეშაფოტისაკენ, აგიზგიზებული კოცონისაკენ, ციმბირისაკენ თუ გულაგისაკენ ისტუმრებდა მთქმელს, სიცილი მაინც რჩებოდა, როგორც პროტესტი, როგორც დემოკრატიული და პირუთვნელი მსაჯული, რჩებოდა და ამიტომაც ამარცხებდა ყოველგვარ შიშს, ვინც „სიცილის სახელით“ ისჯებოდა, ღიმილით ეგებებოდა სიკვდილსაც, რადგან კათარზისგავლილს მთავარი გამარჯვება უკვე მოპოვებული ჰქონდა. თვითირონიის უნარი ხომ პირადი ღირსების გრძნობის შემადგენელი ნაწილია და ღირსეულ ადამიანს საკუთარი ნაკლის დანახვა და იუმორითვე მისი დაძლევა ისევე ძალუძს, როგორც სხვის ნაკლთან ბრძოლა. ეს კი საკუთარ თავზე გამარჯვებას ნიშნავს.

ტკივილი და სიხარული, შესაბამისად, სიცილი და ტირილი სულს ანთავისუფლებსო, ამბობენ. მართლაც და თუკი „ტკივილი ადამიანის სრულყოფის უმაღლეს ფორმად არის მიჩნეული“, მაშინ „სიცილი ჯანმრთელობის შეგრძნებაა“ (კანტი) და ღვთის მიერ დაწყვილებული ამ ორი „მძლავრი იარაღის“ გონივრული მონაცვლეობით აღწევს, ალბათ, ადამიანი იმას, რასაც „ადამიანურ ბედნიერებას“ უწოდებენ, რადგან „სულით ძლიერი“ და „სხეულით ჯანმრთელი“ პიროვნება სრულ ჰარმონიაშია ღმერთთან, ბუნებასთან და საკუთარ თავთანაც. თორემ ხდება ისეც, რომ ადამიანები „სიმწრისაგან იცინიან“ და „სიხარულისაგან ტირიან“ ან არც ერთი ძალუძთ და არც მეორე. აი ისე, ვაჟა-ფშაველა რომ იტყოდა: „საზარელია დადგომა უგრძნობლობისა გზაზედა“ ან როცა ერთ-ერთი ამ გრძნობათაგანი მივიწყებულია, მაშინ ადამიანის არასრულფასოვნება თვალშისაცემი ხდება.

თუკი ადამიანმა სინდისთან, ღმერთთან, ბუნებასთან თანხმობას მიაღწია, მისი სიცილი ლაღია და ჯანსაღი. სწორედ ამგვარ სიცილზე ამბობდა ექიმი ვილიამ ოსლერი: „სიცილი სულის მუსიკააო“. ასეთი ადამიანები ბავშვური ღიმილით იძინებენ და ასევე ხვდებიან განთიადს. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ხშირად ჩვენი ცხოვრება, ჩვენგანვე დამოუკიდებლად ნევროტულად, არასიმპათიურად, ანტიფსიქოთერაპიულად არის მოწყობილი და აი, იქ სჭირდება ადამიანს დახმარება... სწორედ ეს ჰქონდათ შეგნებული „სიხარულის მაყრებად“ ცნობილ მსოფლიოს უდიდეს კომიკოსებს, რომელთაგან მრავალნი, ჩარლი ჩაპლინის მსგავსად, უდიდესი ღვთისმოსაობით გამოირჩეოდნენ, აკი ბიბლიაც ამასვე მეტყველებს: „გულში სიხარულის მატარებელს ექიმი არ სჭირდებაო“.

როგორც ყოველი ბიბლიური ჭეშმარიტება, ესეც დაამტკიცა ცხოვრებამ. ძველი ფრანგული ხალხური გამოთქმაა: „გააცინო, გაამხიარულო, იმას ნიშნავს, რომ გააფართოვო ელენთა“. მართლაც და ფრანსის ბეკონი განაცვიფრა „სიცილის გამაჯანსაღებელმა მოქმედებამ“. როგორც ამბობენ „სიცილის თერაპია“ ჯერ კიდევ არ არის ზუსტი მეცნიერება, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ სიცილი ტოქსინებს ანადგურებს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და ზოგჯერ განუკურნებელი სენისგანაც კი იცავს ადამიანს. ათი წუთის თავშეუკავებელი ხარხარი კი ხსნის ძლიერ ტკივილს და ორი საათით აძინებს ავადმყოფს... ზედმეტობა როგორც ყველგან და ყველაფერში, ეტყობა, აქაც არ შეიძლება, რადგან ისტორიაში არსებობს ფაქტი, რომ პიერ ბომარშეს მამა სიცილისაგან მოკვდა, როცა შვილი მას თავის „სელივიელ დალაქს“ უკითხავდა.

თუმცა, არ უნდა იყოს ურიგო სიკვდილი. სულგანათლებული ნოდარ დუმბაძე ამბობდა: „ავადმყოფები მაშინ ხუმრობენ, როდესაც კვდებიან ან როდესაც ყოჩაღად არიანო“. მართლაც და, ოტავას ონკოლოგიურ ჰოსპიტალში „მხიარულებისა და სიცილის ცენტრი“ არსებობს და ის, თურმე, ერთნაირად შველის „საამქვეყნოებსაც და საიმქვეყნოებს“, რადგან სიცილს არა მარტო მზის, სიჯანსაღის, არამედ ღვთის ძალაც შეჰყავს ადამიანის სულში.

მაშ, ნურაფრის გეშინიათ, იცინეთ (თუ საჭიროა, დასცინეთ კიდეც) და გახსოვდეთ — „სიცილით ბედისწერის გადავადებაც შეიძლება“.

**მანანა კეიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯულიას უცნაური ღამე

დედამიწის გარშემო ველოსიპედით მარტოდმარტო მოგზაურმა, ინჟინერ-გამომგონებელმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ჯუმბერ ლეჟავამ დაამტკიცა, რომ ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს მართლაც ზღვარი არა აქვს! რამდენიმე წლის წინ მან ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი.... სამი მეტრი განგრენიანი ნაწლავის ამოკვეთის შემდეგ ექიმებმა მას სამი-ოთხი თვის სიცოცხლე, უკეთეს შემთხვევაში — სამუდამო ინვალიდობა უწინასწარმეტყველეს... მაგრამ ჯუმბერმა კომპლექსური ვარჯიშების საკუთარი მეთოდი (იატაკიდან მკლავებზე აზიდვა) შეიმუშავა, და არა თუ სიკვდილი დაამარცხა, ზედიზედ გინესის რამდენიმე რეკორდიც დაამყარა! ამით ჯუმბერ ლეჟავამ ადამიანებს განუმტკიცა რწმენა, რომ მონდომებით მრავალი სენის დამარცხება შეიძლება.

რამდენიმე წლის წინ ჯუმბერ ლეჟავამ კიდევ ერთხელ განაცვიფრა სამყარო! 1998 წლის 18 აგვისტოს მან დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა დაიწყო. მიუხედავად მრავალი ხიფათისა და განსაცდელისა, მოიარა აზიის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ორმოცდაჩვიდმეტი ქვეყანა, ველოსიპედით დაფარა ახოცდათვრამეტი ათასი კილომეტრი და ამჟამად ამერიკის კონტინენტზეა. მის მოგზაურობას ფართოდ აშუქებს მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ჯუმბერ ლეჟავასადმი მიძღვნილი წერილების სათაურებს: „სულით ძლიერი, გულით ძლიერი, მსოფლიოს ყველა რეკორდის რეკორდსმენი“; „ყველაზე პოპულარული ქართველი არაბეთში, — გმირი ჯუმბერი“; „ჯუმბერის გაცნობით ჩვენს მკითხველებს სიმხნევე შეემატებათ“; „ქართველი შვარცენეგერი სიყვარულით დაიპყრობს მსოფლიოს“; „ადამიანი — ლეგენდა, მშვიდობის მესია და სპორტის ჯადოქარი“; „მივბაძოთ ჯუმბერს და სიკვდილი ვერაფერს დაგვაკლებს“; „ახალი საოცრება ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე“; „როგორ ახწავლა ქართველმა მკლავებზე აზიდვა კატარის შეიხს“...

ამ ფანტასტიკური ველომარათონის დროს ჯუმბერ ლეჟავა უამრავ ადამიანს შეხვდა. გაეცნო სხვადასხვა ხალხის წეს-ჩვეულებებს. იგი გზადაგზა აკეთებს ჩანაწერებს, ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურული ჩანაწერები იბეჭდება გაზეთ „მსოფლიო მოგზაურში“. გთავაზობთ ფრაგმენტს ჯუმბერ ლეჟავას დღიურიდან.

დაღამებისთანავე „რესთ ჰაუსს“, ესე იგი, დასასვენებელ სახლს მივადექი. სახლის მეპატრონემ კარგად მიმიღო, სახელდახელოდ ჩაი და ნამცხვარი მომართვა. ეტყობა, ამერიკელი ან ინგლისელი ვგონივარ. დაე, ეგონოს.

— ცალკე ნომერი არა მაქვს, ყველა დაკავებულია. თუ თანახმა იქნებით, ქალთან შეგასახლებთ.

— ქალთან? — გამიკვირდა, — მერედა, ის ქალი თანახმა იქნება?

— ისიც მოგზაურია. სამი დღით ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში.

— მერე რა, რომ მოგზაურია? ამისათვის აუცილებლად მამაკაცი უნდა შეუსახლოთ?

— ჩვენთან ამას მნიშვნელობა არა აქვს.

— იქნებ სხვა გამოსავალი მოძებნოთ?

— ცალკე ნომერი არა მაქვს, — ჟურნალი გადაშალა.

რა გაეწყობოდა, დავთანხმდი.

ველოსიპედითა და ბარგით ოცდამეჩვიდმეტე ოთახს მივადექი. კარებზე ნელა ვაკაკუნებ.

— ქამინ! შემოდით — მესმის ნაზი ხმა.

კარები შევაღე. ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა. ჩემს დანახვაზე წამოდგა.

ბოდიში მოვიხადე და ველოსიპედი თავისი ბარგიბარხანით შემოსასვლელში დავაბინავე.

ოთახში ორი საწოლია. მათ შორის პატარა მაგიდა დგას. სულ ეგაა. ესეც შენი „რესთ ჰაუსის რესთ რუმი“. უხერხულ მდგომარეობაში ვარ. რა ვქნა, ხომ შეიძლება ამ ქალბატონმაც იუხერხულოს, ჩავიდეს ქვემოთ და სახლის მეპატრონე ერთი მაგრად გამოლანძღოს — ეს ვინ შემომისახლეთო..: მაგრამ არა მგონია, ხმას არ იღებს:

ერთხანს გაჩუმებულები ვართ. ბოლოს მკითხა:

— მოგზაური ხართ?

— დიახ!

— ოოო! მე დიდ პატივს ვცემ ველოსიპედით და ცხენით მოგზაურებს.

— ნეტავ, რა სახსენებელი იყო ახლა ცხენი? — ვფიქრობ.

— თაილანდში მოგზაურობთ?

— არა, მსოფლიოში.

განცვიფრებისაგან წარბები აზიდა.

— როგორ? საიდან მოდიხართ?

— საქართველოდან.

— რამდენი სახელმწიფო გამოიარეთ?

— ბევრი არა, ოცდაშვიდი.

— განა ეს ცოტაა?

— ორას ოც სახელმწიფომდე მაქვს გასავლელი, — თავი ჩავკიდე.

ერთხანს კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს მეკითხება:

— უკაცრავად, რამდენი წლის ხართ?

— ორმოცდათექვსმეტის.

— სულ არ გეტყობათ. ალბათ იმიტომ, რომ სპორტსმენი ხართ.

— შეიძლება.

— მე ჯულია მქვია, ინგლისიდან ვარ. მეც თითქმის ვმოგზაურობ. ინგლისურ ენას ვასწავლი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სახლში ვერ ვჩერდები.

ამ სიტყვებზე გამაჟრჟოლა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— მეც ქვრივი ვარ.. ეს მოგზაურობა ჩემს მეუღლეს მივუძღვენი, — ჩავილაპარაკე, მე ის ძალიან მიყვარდა, ახლაც მიყვარს. მე იგი ამ მოგზაურობაში მეხმარება. თქვენ შვილები გყავთ?

თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

— რა საჭირო იყო ამ შეკითხვის დასმა? — ვფიქრობ.

— არა მყავს.

— მე ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი მყავს.

სევდიანად გაეღიმა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ჯულიამ საწოლზე მიმითითა, — აქ დაისვენეთო, — და გარეთ გავიდა.

თერთმეტი საათი ხდება. ძალიან დაღლილი ვარ. დავ-



წვე? არადა მერიდება. რა ვქნა? დაველოდო, თვითონ როდის დაწვება? იგი მალე შემოვიდა. ჩანთიდან ჩაის მადუღარა ამოიღო.

— ძილის წინ ჩაის მიირთმევთ თუ ყავას? — მკითხა მორიდებით.

— გმადლობთ, არ მინდა.

— ძალიან გთხოვთ.

— მაშინ ჩაი.

დავლიეთ, მე ჩაი, მან — ყავა. შემდეგ გარეთ გავედი. თითქმის ნახევარი საათი ფანჯარასთან ვიდექი. ალბათ დაიძინა — ვფიქრობ. ოთახში ფეხაკრეფით შევედი. ჯულია ლოგინში იწვა და წიგნს კითხულობდა.

— დაწვებით, მისტერ ჯუბი? თუ ხელს გიშლით, ახლავე ჩავაქრობ შუქს.

არაფერი ვუპასუხე.

შუქი ჩააქრო.

ლოგინში ჩავწექი თუ არა, კედლისაკენ მივბრუნდი. ნეტავ მალე ჩამეძინოს. ჯულიას რა დააძინებს, მითუმეტეს, ყავა აქვს დალეული. ერთი-ორჯერ ადგა და გარეთ გავიდა.

სიგარეტს მოუკიდა თუ არა, ჩავახველე.

ცოტა ხანში შემოვიდა.

— ეჰ, ჩემო ლიანა, გახსოვს ჩვენი გაცნობის დღე? ვლადიკავკაზი, მოსკოვის მატარებელი. შენ შენს ლამაზ მშობლებთან ერთად იყავი, მე კი ჩემს ბავშვობის მეგობარ იურა კუკულაძესთან ერთად... ცრემლი მომგვარა მოგონებამ, ამოვიოხრე.

— მისტერ ჯუბი, ცუდად ხომ არა ხართ? — მკითხა ჯულიმ.

თავი ავწიე და მოვბრუნდი.

შუქი აანთო.

სასთუმალთან ჩამოჯდა.

— არა, უბრალოდ ისე... ბოდიში რომ შეგაწუხეთ.

— რაიმე წამალი ხომ არ გინდათ?

— არა, გმადლობთ.

— თქვენ ცოდვა ხართ, მისტერ ჯუბი... — ისევ სევდიანად გამიღიმა,

— არ ვიცი.

შუქი ჩააქრო და დაწვა.

მე ისევ კედლისკენ მივბრუნდი.

ისევ ფიქრები ამეშალა...

— რა ბედნიერები ვიყავით, ჩემო ლიანა, პირველი შვილი რომ შეგვეძინა, ჩვენი მაიკო. შემდეგ ჩვენი ხათუნა, როგორ გავზარდეთ, როგორი წვალებით... შემდეგ მათი სწავლა, მერე გათხოვება... ო, რა ბედნიერები ვიყავით, როცა პირველი შვილიშვილი შეგვეძინა, ჩვენი ლაშიკო, მერე გვანცა და ბექა... ლიკუნას ვერ მოესწარი... შეეძლოთ, შეეძლოთ ექიმებს შენი გადარჩენა... ტირილი მომინდა, მაგრამ თავს ვიკავებ, არ მინდა უცხო ქალი შევაწუხო.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

სიზმარში ჩემი ლიანა ვიხილე, თეთრ სპეტაკ სამოსში, კარუსელზე იჯდა, მის უკან მზის დისკო ჩანდა, ლამაზფერად მოხატული ზეცა, ჩიტები... დიდი, ვრცელი, ლამაზი ველი, მობიბინე ლამაზი ყვავილებით...

ჯერ გათენებული არ იყო, რომ გამეღვიძა.

მერიდება შუქის ანთება, ნელ-ნელა ვიცვამ.

— მისტერ ჯუბი, აანთეთ შუქი.

— ოჰ, უკაცრავად, გამოგაღვიძეთ...

— არაფერია.

შუქი ავანთე და ველოსიპედის ჩანთებით შეკაზმვა დავიწყე.

— სად მიდიხართ, მისტერ ჯუბი?

— უნდა წავიდე.

— ჯერ ხომ ხუთი საათიც არ არის?

— სხვაგვარად ვერ მოვასწრებ...

ჯულიმ ამოიოხრა.

— ჩაი მაინც მიირთვით... ახლავე ავდგები და აგიდუღებთ, მისტერ ჯუბი.

— გმადლობთ, არ მინდა.

— მაინც არ იშლის, დგება.

„მერანი“ გავამზადე. ჩაი მოვსვი, ჯულის სავიზიტო ბარათი მაგიდაზე დავუდე, გამოვემშვიდობე და ის-ის იყო გარეთ უნდა გამოვსულიყავი, რომ მაჩერებს:

— მისტერ ჯუბი... ცრემლი მოერია.

— დიახ, — თავი ჩავკიდე.

— დარჩენილიყავით ერთი დღე.

— იცით, ჩემთვის მთავარი მოგზაურობაა, — ცოტა არ იყოს, უხერხულად გამომივიდა ეს სიტყვები...

ბოდიში მოვუხადე და წავედი.

...შენობიდან გავედი თუ არა, ვიღაც შემძახის. უკან მოვიხედე. ჩემს წინ სასტუმროს მეპატრონე იდგა.

— სად მიდიხართ? — გაკვირვებული მეკითხება.

— როგორ თუ სად მივდივარ, მე ხომ ჩემი გზა მაქვს.

— ის ქალი ოთახშია?

— აბა სად იქნება?

გამიცინა და თავის ენაზე რაღაც ჩაილაპარაკა. მე ვთხოვე, მისი „რესთ ჰაუსის“ წინ ჩემთვის სურათი გადაეღო და ფოტოაპარატი მივაწოდე.

რამდენიმე მეტრი გავიარე და უკან მოვიხედე. აივანზე ჯული იდგა და მიყურებდა... ალბათ ფიქრობდა — ვინ არის, სად მიდის, ნორმალური თუ არისო... აკი სასტუმროს მეპატრონეც გაკვირვებული იყო...

... რა ვქნა, ჩემო ჯული, პატივს გცემ, კარგი ქალი ხარ, მაგრამ... მე ჩემი ცხოვრება მაქვს, მე ჩემი გზა მაქვს, მე ჩემი სიყვარული მაქვს...

**მასალა მოგვაწოდა ჯუმბერ ჯიშკარიანმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია კულინარია

## ხაჭოს ღვეზელი ალუბლებით

მასალად საჭიროა:

ცომისათვის: 200 გრ ფქვილი, 1/2 ჩ. კოვზი სოდა, 75 გრ შაქარი, 75 გრ კარაქი, 1 კვერცხი.

გულისათვის: 500 გრ უკურკო ალუბალი (შეიძლება კომპოტისაც), 500 გრ ხაჭო, 1 ლიმონის ცედრა, ვანილი, 1 ჩაის კოვზი მიხაკი და დარიჩინი, 75 გრ გატარებული ნიგოზი, 50 გრ სახამებელი, 1/2 ჩაის კოვზი სოდა, 100 გრ შაქარი, 3 კვერცხი.

მოცემული მასალებით მოვზილოთ ცომი ჩვეულებრივად და შევდგათ მაცივარში 1 სთ-ით. ხაჭო, ცედრა, მიხაკ-დარიჩინი, ნიგოზი, სახამებელი, სოდა, შაქარი და კვერცხის გულები ავთქვიფოთ კარგად. ცალკე ქაფივით ავთქვიფოთ ცილა, შევურიოთ ალუბლებში და ავურიოთ ხაჭოიან მასაში. ცომი გავაბრტყელოთ ცხიმიან ფორმაზე, გვერდები ამოვუყვანოთ. ჩავდოთ შიგ გული და შევდგათ ქურაში 1 სთ. ზემოდან, რომ არ დაიწვას, დავაფაროთ „ფოლგა". მზა ღვეზელი გავაციოთ. ქაღალდისაგან გავაკეთოთ ტრაფარეტები, დავაფაროთ ღვეზელს და მოვაყაროთ შაქრის „პუდრა", შემდეგ მოვხსნათ ტრაფარეტები.

## გარგარის რულეტი

მასალად საჭიროა:

ცომისათვის: 250 გრ ფქვილი, 1 კვერცხი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 1 სუფრის კოვზი ზეთი, მარილი, 125 გრ წყალი.

გულისათვის: 1 კგ გარგარი (შეიძლება დაკონსერვებულიც) ან ჯემი, 100 გრ კარაქი, 150 გრ დაფქვილი ორცხობილა, 75 გრ შაქარი, 1 ჩაის კოვზი დარიჩინი, 100 გრ გატარებული ნიგოზი, 1 სუფრის კოვზი კარაქი, 1 სუფრის კოვზი „პუდრა".

მოვზილოთ ცომი. გავახვიოთ ცელოფანში და შევდგათ მაცივარში 1 სთ-ით. გარგარს გამოვაცალოთ კურკები, კარაქი გავადნოთ. ოდნავ მოვშუშოთ ორცხობილა და შაქარი. დავუმატოთ დარიჩინი და ნიგოზი. ცომი გავაბრტყელოთ ძალიან თხლად ფქვილიან ჩაის ტილოზე. მოვაყაროთ ცომს ორცხობილიანი მასა, მოვაწყოთ გარგარი და ჩაის ტილოს საშუალებით რულეტივით გადავახვიოთ. ბოლოები ქვემოდან შევუკეცოთ. გადავიტანოთ ცხიმიან თუნუქის ფურცელზე. მოვუსვათ კარაქი და ვაცხოთ 40 წუთი. გაციებულს მოვაყაროთ შაქრის „პუდრა".

## ალუბლის ღვეზელი

მასალად საჭიროა:

ცომისათვის: 250 გრ ფქვილი, 1 კვერცხი, 2 ჩაის კოვზი ზეთი, მარილი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 1/8 წყალი.

გულისათვის: 100 გრ გატარებული ნიგოზი, 2 სუფრის კოვზი დაფქვილი ორცხობილა, ცოტა დარიჩინი, 1 სუფრის კოვზი შაქარი, 750 გრ კომპოტის ალუბალი.

ზემოდან მოსასხმელად 1 კვერცხის გული.

კარგად მოვზილოთ ცომი. დავდგათ ნახევარი სთ-ით. შემდეგ გავშალოთ ფქვილიან ჩაის ტილოზე.

ცომს წავუსვათ გამდნარი კარაქი. ცალკე მოვშუშოთ ნიგოზი და ორცხობილა. გავაციოთ. ავურიოთ შიგ დარიჩინი. ნახევარი მასა დავყაროთ ცომზე. მოვაწყოთ უკურკო ალუბალი, მოვაყაროთ დარჩენილი ნიგვზიანი ორცხობილა. ჩაის ტილოთი ფრთხილად გადავახვიოთ რულეტი და დავდოთ ცხიმიან თუნუქის ფურცელზე. მოვუსვათ შაქრიანი კვერცხის გული და ვაცხოთ 45 წუთი.

ჟურნალი „ბურდა"

# .აქეთური-იქითური .აქეთური-იქითური .აქეთური-იქითური

## ცისფერ ბრილიანტს მისი მფლობელის სახელი ერქმევა

ჟენევაში, „სოტბის" აუქციონზე გაიყიდება 520-მდე ძვირფასეულობა, მათ შორის მსოფლიოში უმსხვილესი ცისფერი ბრილიანტი. ეს ქვა, რომელიც ზომით პატარა საფოსტო მარკისოდენაა, 26,84 კარატს იწონის. „ალბათ, იგი 12 მილიონ დოლარად გაიყიდება, როგორადაც ადრე გაიყიდა მასთან შედარებით უფრო პატარა ქვები" — ამბობს დევიდ ბენეტი, „სოტბის" ევროპული ნაწილის საიუველირო განყოფილების ხელმძღვანელი.

მისი განცხადებით, „ბრილიანტი ერთობ ფანტასტიური, მუქი ცისფერია. ცისფერი ალმასები ყველაზე გამოუცნობი და რომანტიულია. ისინი მოგვაგონებენ წყნარ და უშფოთველ ზღვას". ბატონი ბენეტი ამტკიცებს, რომ ფერადი ალმასი ყველაზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ქვა არაბეთის რომელიმე ქვეყანაში მოხვდეს. ვინც ქვას იყიდის, უფლება ექნება, სახელიც დაარქვას.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში, კოსტავას ქ. № 14, V სართული



რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

მასალები გადაეცა ასაწყობად 21.01.97 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 04. 97 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 600. შეკვ. 0072.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი

**თარაზულად:** 7. პრივილეგიური წოდების ქალი ძველად. 8. ეკლიანი ბუჩქი — ხმარობენ კულინარიაში. 9. მამაკაცის თავზე მოსახვევი საბურავი მუსლიმანურ ქვეყნებში. 10. ფრანგი კინომსახიობი ქალი. 11. მღვდელმთავარი. 15. სანაყი ხელსაწყო. 17. დაკეპილი ხორცით ან შიგნეულით გატენილი ნაწლავი. 19. ხის საწოლის ნაწილი — გეზად დაყენებული ფიცარი თავის მისადებად. 22. სამხედრო წოდება. 23. რთულყვავილოვანთა ოჯახის მთის მცენარე. 27. პოლიციის მოხელე მეფის რუსეთში. 29. გამოუწვავი აგური. 30. აზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპის ზოგ ქვეყანაში. 31. გამომწვარი ფერადი თიხა.. 32. რაიმე პატარა ნივთი, თილისმა.

**შვეულად:** 1. მოუვლელობით შიგადაშიგ გამხმარი ვენახი, ბაღი. 2. ხლართი. 3. ქ. ჯაკარის ძველი სახელწოდება. 4. ქამრის, უნაგირის ლაგმის მოსართავი ლითონის ღილები. 5. შავი ფისი. 6. თანაზომიერება, პროპორციულობა. 12. ერთმანეთს დაქვემდებარებული სახელმწიფო მმართველობის ცალკეული რგოლი, საფეხური. 13. მიბარებული რამ. 14. უცნაური, სასაცილო, საზეირო ამბავი. 16. მატყლის ქსელი მკვრივი ქსოვილი. 18. ბრაზილიელი მწერალი. 20. სახელმწიფო, ბანკი, დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ემისიას. 21. აზიის სახელმწიფო. 24. კოლუმბიის დედაქალაქი. 25. ვარდისებრთა ოჯახის ხე. 26. რომის პაპის გვირგვინი. 28. ვიეტნამის დედაქალაქი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა.




# რჩევები

⊙ წითელი ღვინისა და წვენის ახალ ლაქას დააყარეთ მარილი, გაავლეთ სუფთა წყალში და შემდეგ გარეცხეთ.

⊙ აბრეშუმის, ბამბისა და სელის სხვადასხვა ფერის ქსოვილებიდან ოფლის ახალ ლაქას ამოიყვანთ, თუ გაწმენდთ სუფრის მარილის ხსნარით (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე). თეთრი ფერის ბამბისა და სელის ქსოვილებიდან ოფლის ლაქები გაწმინდეთ სუფრის მარილისა და ნიშადურის სპირტის ან ბორაკის მინარევით (1 ჩაის კოვზი 1ჭიქა წყალზე), შემდეგ გარეცხეთ წყლით. შეღებილი ფერადი შალის ქსოვილიდან ოფლის ლაქებს ამოიყვანთ მაგრამ ყოველთვის ვერა), თუ გაწმენდთ ძმრის ან ლიმონის მჟავის ხსნარით (1 ჩაის კოვზი 1/2 ჭიქა წყალზე).

⊙ თეთრი ფერის შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებიდან ოფლის ლაქა შეიძლება ამოვიყვანოთ ჰიპოსულფიტის ხსნარით (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე). ამის შემდეგ ნაჭერი გაავლეთ თბილ წყალში. ოფლის ლაქიანი შალის ქსოვილის ნივთები დაამუშავეთ სუფრის მარილის მაგარ ხსნარში. თუ ამან არ უშველა, ლაქა გაწმინდეთ ბენზინით.

⊙ ღია ფერის შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებიდან იოდის ლაქა ამოდის ჰიპოსულფიტის ხსნარით (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე) და შემდეგ გარეცხეთ წყლით. დასვრილი ადგილები შეიძლება აგრეთვე ჯერ გარეცხოთ ცივი წყლით და შემდეგ ლაქა რამდენჯერმე გაწმინდოთ უმი კართოფილის ახალი ჩამონაჭრით.

⊙ ობისაგან გამოწვეული ლაქა ამოვა წყალბადის ზეჟანგის მცირე რაოდენობის ძმართან შერეული ხსნარის საშუალებით.

⊙ თუ წიგნი დაგისველდათ ან დაობდა, იგი უნდა გააშროთ, დაობებული ადგილები კი გაწმინდოთ 2 %-იანი ფორმალინის ხსნარში დასველებული ტამპონით. თუ წიგნის ყდა უბრალოდ გაქონიანდა, იგი გაწმინდეთ ნიშადურის სპირტში დასველებული ბამბის ტამპონით, გააშრეთ და გაწმინდეთ რბილი ჩვრით.

⊙ ჟანგის ლაქების ამოყვანა შეიძლება ნებისმიერი ქსოვილიდან, თუ დასვრილ ადგილს დავადებთ მარლაში ან საშრობ ქაღალდში გახვეულ ლიმონის ნაჭერს და დავაჭერთ ცხელ უთოს. (უთოს ტემპერატურა უნდა შეესაბამებოდეს ქსოვილის სახეს). შეიძლება სხვაგვარადაც მოიქცეთ: დასვრილი ადგილი 3-5 წუთით ჩადეთ ძმრის მჟავას ხსნარში (2 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე), რომელიც შეათბეთ 60-90° ტემპერატურაზე (მჟავა შეათბეთ დაუზიანებელ მინანქრის ჭურჭელში!). შემდეგ ქსოვილი გარეცხეთ თბილი წყლით, სადაც ჩაუმატეთ 1 სუფრის კოვზი 10 %-იანი ნიშადურის სპირტი (2 ლ. წყალზე).

⊙ ჟანგის ლაქები თეთრი ფერის ნატურალური ქსოვილებიდან კარგად ამოდის 2 %-იანი მარილის მჟავას ხსნარით. დალაქული ადგილები ჩაუშვით ხსნარში, ხოლო ლაქის მოცილების შემდეგ კარგად გარეცხეთ წყალში, სადაც 1 ლიტრ წყალზე დაასხით 3 სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტი.

⊙ ჟანგის ლაქებს სუფრიდან, თეთრეულიდან და თეთრი ფერის კაბიდან ასე ამოვიყვანთ: ლაქა ჩაასველეთ ლიმონისმჟავას მაგარ ხსნარში. შემდეგ ზემოდან მოაყარეთ სუფრის მარილი და გააჩერეთ 1 დღე-ღამე. ამის შემდეგ მარილი წყლით ჩამორეცხეთ და გარეცხეთ.

შეკრიბეს **მარლენ აბაზაშვილმა** და **მზია გოგიშვილმა.**

ინდექსი 76178

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფასი 1 ლარი